ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ოთხშაბათი, 24 მაისი, 2017 №121 (7356) ფასი: 50 თეთრი

## რისთვის უნდოდა მამა გიორგი მამალაძეს 50 მილიონი ევრო



გვ.4

## 23 მაისიდან

ლაშა იმედაშვილი

**სამი მკვლელობა ძველ თბილისში**

**პატრიარქის ზაფხული**

ქართული დეტექტივი

ტომი 13

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი




# ნინო კუზანოვას კარლო კეკელიძის სიკვდილში ადანაშაულებენ – ნანა კეკელიძე მის დასჯას ითხოვს





## ფარმან ჯეირანლი ნინო კუზანოვასა და დიმიტრი გაბუნიას წინააღმდეგ

## კლინიკა „ლანცეტის“ დირექტორს პატიმრობა შეეფარდა

გვ. 7

## ალიძვრება თუ არა ნარმანიას წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე

გვ.3

ლევან ხაბეიშვილი: „2 ხელშეკრულებიდან მერიამ 5.178.000 ლარი მოტეხა“





## „ნარმანიას აუდიტორად დანიშვნა იგივეა, კანონიერი ქურდი შს მინისტრად რომ დანიშნო“

გვ.2

კახა კუკავა: „ივანიშვილი უნდა მიხვდეს, რომ მესამე ვადით არჩევის შანსი არ აქვს“



გვ.3

## ირაკლი ალადაშვილი: „სამხედრო-სავალდებულო სამსახური უნდა არსებობდეს“



გვ.4

## შეხვდა თუ არა ქუმსიშვილი მედვედევს

## „საქართველოში სათამაშოების წარმოება მომგებიანი არ არის“




გვ.6

ISSN 1987-9385
9 771987 938006

## ამერიკული ავტომობილების 50%-ს საბუთში უწერია, რომ ჯართია



გვ.2

## ქართველ დეპუტატს არაბთა გაერთიანებული საემიროების სასამართლომ 15 წლით პატიმრობა მიუსაჯა



გვ.7

# „ნარმანიას აუდიტორად დანიშვნა იგივეა, კანონიერი ქურდი შს მინისტრად რომ დანიშნო“

## კახა კუკავა: „ივანიშვილი უნდა მიხვდეს, რომ მესამე ვადით არჩევის შანსი არ აქვს“

ნონა ცაბაძე



**რა გზავნილები მიიღო ხელისუფლებამ ვენეციის კომისიისგან, რა საკითხებში უნდა მოიძებნოს კონსენსუსი, ემზადება თუ არა ხელისუფლება თვითმმართველობის არჩევნების გასაყალბებლად, ვინ იქნება თბილისის მერი? – „ახალი თაობის" ამ და სხვა კითხვებს პარტია „თავისუფალი საქართველოს" ლიდერი კახა კუკავა პასუხობს.**

***– ბატონო კახა, ქართულმა დელეგაციამ ვენეციის კომისიას გააცნო ჩვენი კონსტიტუციის ახალი პროექტი. რა გზავნილები ამოიკითხეთ მათ განცხადებებში და რამდენად გაითვალისწინებს ქართული მხარე ამ რეკომენდაციებს?***

– ჩვენ, პრაქტიკულად, ზედმიწევნით ვიცით ის სცენარი, რა მოვლენებიც განვითარდება ქვეყანაში. შეგვიძლია, მხოლოდ ტემპებზე გავაკეთოთ პროგნოზები. ივანიშვილმა უნდა შეუშვას თავის ტვინში, რომ მესამე ვადით მას არჩევის შანსი არა აქვს!

***– ანუ ტყუილი მცდელობა აქვთ?***

– დიახ. ეს უნდოდა შევარდნაძეს და მოუწყვეს ვარდების რევოლუცია, უნდოდა სააკაშვილს და გვახსოვს, რომ თავისმა მოკავშირეებმაც ზურგი შეაქციეს. ბიძინა ივანიშვილმაც უნდა იცოდეს, რომ ის ან თავისი ნებით დათმობს ხელისუფლებას და 2020 წელს მშვიდობიანად გადააბარებს სხვა პოლიტიკურ ძალას, ან თუ ასე არ მოიქცევა, მასაც მოუწყობენ ისეთივე ტიპის პროცესებს, როგორიც მოუწყვეს იანუკოვიჩსა და კიდევ სხვებს.

***– ვენეციის კომისიის შეფასებებზე რას იტყოდით?***

– რაც შეეხება ვენეციის კომისიის დასკვნას, ეს უნდა განვიხილოთ ამ კონტექსტში, რომ ივანიშვილს აძლევენ შანსა, მითითებებს, რბილ რეკომენდაციებს და ეუბნებიან, გააკეთე ასეო. ეს ხომ გავლილი გვაქვს და ყველას კარგად გვახსოვს. ზუსტად ასე ელაპარაკებოდნენ შევარდნაძესა და სააკაშვილს, რათა მათთვის სახე შეენარჩუნებინათ.

თუ თქვენ ნახეთ ვენეციის კომისიის წარმომადგენლის, მარკეტის განცხადება, ზუსტად ეს განცხადება იყო. ტონალობა იყო ძალიან რბილი, ნათქვამი იყო, რომ ეს არის კარგი პროექტი და ასე შემდეგ, მაგრამ შინაარსობრივად ერთადერთი კონკრეტული შენიშვნა, რომელიც გაკეთდა პროექტთან დაკავშირებით, იყო მკვეთრად უარყოფითი.

***– რას გულისხმობთ? უმრავლესობა აცხადებს, რომ შენიშვნები არ ყოფილა.***

– იყო, როგორ არ იყო. მან თქვა, რომ როგორც პრეზიდენტის, ისე პარლამენტის არჩევის წესის ცვლილება საჭიროებს კონსენსუსს. ეს უთხრეს ხელისუფლებას, ან მონახავ კონსენსუსს, ან, რაც იქნება ამის შემდეგ, ჩვენ ეს კინო ნანახი გვაქვსო.

***– ანუ ამ ორ ძირითად საკითხზე გაკეთდა მითითება და გამოითქვა შენიშვნა?***

– ერთადერთი შინაარსობრივი შენიშვნა იყო ეს, რომ კონსენსუსის გარეშე ეს სისტემა არ უნდა შეიცვალოს! ახლა ხელისუფლებას აქვს არჩევანი, ან გაითვალისწინოს ვენეციის კომისიის დასკვნა როგორც ამ საკითხში, ისე ზოგადად და მოახდინოს პოლიტიკური სისტემის ლიბერალიზაცია. ასეთ შემთხვევაში ისინი შეინარჩუნებენ სახესაც და პირადი უსაფრთხოების მეტ გარანტიასაც.

***– თუ არ გაითვალისწინეს?***

– რა თქმა უნდა, შეუძლიათ, არ გაითვალისწინონ ვენეციის კომისიის დასკვნა, გააგრძელონ კობახიძის ჭკუაზე სიარული და 2020 წლის ნაცვლად თარიღი გადმოიწევს აქეთ, პროცესები დაჩქარდება.

***– ბატონო კახა, ვნახეთ, როგორი ხმაური მოჰყვა თვითმმართველი ქალაქებისთვის სტატუსის ჩამორთმევას. ამ პროცესს რით ხსნით?***

– სასაცილოა, როდესაც თელავი, რომელიც მინიმუმ მე-12 საუკუნიდან იყო სატახტო ქალაქი, ზუგდიდი, რომელიც რუსეთის იმპერიამდე გამოაცხადა ქალაქად სამეგრელოს მთავარმა და რუსეთის იმპერიამაც კი არ წაართვა და შეუნარჩუნა ქალაქის სტატუსი, ამ პირობებში ჩვენ ვხედავთ, რომ დამოუკიდებელ საქართველოში ივანიშვილის ოლიგარქიული რეჟიმი ანადგურებს საქართველოში თვითმმართველობას!

***– რატომ დადგა ეს საკითხი დღის წესრიგში?***

– ამაზე ბევრი გვისაუბრია მე და ჩემს მეგობრებს და, მართალი რომ გითხრათ, ახსნა-განმარტება არ გვაქვს, რატომ დადგა ეს საკითხი დღის წესრიგში. როგორც ჩანს, ვიღაც სულელმა თქვა, რა საჭირო იყო ამის გაყოფა და გავაერთიანოთო. ამ დამპალ სისტემაში არავინ შეაჩერა ეს. როდესაც ოპოზიცია წინააღმდეგი წავიდა, ჯიბრზე აკეთებენ ამ ყველაფერს.

***– რა შანსები აქვს „ოცნებას“ თვითმმართველობის არჩევნებზე?***

– ასე არ შეიძლება საკითხის დასმა, იმიტომ რომ ჩვენ ვცხოვრობთ ავტორიტარულ ქვეყანაში, სადაც შეუძლებელია სოციოლოგიური მეთოდით საარჩევნო პროგნოზების გაკეთება. 2011 წლის აგვისტოში რომ ვინმეს ეთქვა, საქართველოში ერთ წელიწადში შეიცვლებოდა ხელისუფლება, ამას ვერცერთი სოციოლოგი ვერ გეტყოდათ. დიდი მსგავსებაა იმ წლებთან. ხალხში არის უკმაყოფილება, მაგრამ ჯერჯერობით არ არის შესაბამისი პოლიტიკური ძალა, რომელიც ამ უკმაყოფილებს ელექტორატად გადააქცევს.

ამიტომ ივანიშვილის მთავარი პრობლემა არის ის, რომ მან არ იცის, საიდან და როდის ელოდება დარტყმას. მან შეიძლება გააყალბოს არჩევნები, ყველაფერი თავის ჭკუაზე ჩაატაროს, მაგრამ იმდენად მყიფეა ეს ავტორიტარული სისტემა, რომ რაც გინდა დაწეროს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ, თბილისელებს შეუძლიათ, 100 ათასი კაცი გამოვიდეს რუსთაველის გამზირზე და სამ დღეში დაამთავროს ნებისმიერი რეჟიმი!

აქედან გამომდინარე, არჩევნებს ვინ მოიგებს და ვინ არა, ამას აღარ აქვს მნიშვნელობა! რეალურად ყველამ კარგად იცის, რომ არც თვითმმართველობა გვყავს და არც – ლეგიტიმური ხელისუფლება. ჩვენ გვაქვს ივანიშვილის რეჟიმი, რომელსაც უნდა მოვერიოთ.

***– ანუ ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, ხალხი როდის გამოიღვიძებს?***

– დიახ, ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, როდის დადგება 100 ათასი კაცი რუსთაველის გამზირზე! თუ არჩევნებამდე მოხდა ეს, მაშინ არჩევნებში წააგებს, თუ არჩევნების შემდეგ მოხდა, მაშინ არჩევნების შედეგებს გააუქმებს.

***– დიდი კამპანიაა დაწყებული ნარმანიას წინააღმდეგ. ვინ იქნება „ოცნების“ კანდიდატი – კვლავ ნარმანია თუ კახი კალაძე, რომელზეც აქტიურად საუბრობენ?***

– ითქვა უკვე, რომ კალაძის კანდიდატურის დაყენებას აპირებს ხელისუფლება. რაც შეეხება ნარმანიას, ამ მთელი კორუფციული სკანდალების შემდეგ ხელისუფლება აცხადებს, რომ ნარმანიას კანდიდატურა განიხილება გენერალური აუდიტის პოსტზე.

გენერალური აუდიტის მთავარი ფუნქცია არის, რომ თუ სადმე ფული გაიხარჯება არამიზნობრივად, თუნდაც 5 ლარი, ისიც უნდა გამოიკვლიოს და ამ სამსახურის უფროსად ინიშნება ამ საქმის ერთ-ერთი ყველაზე კორუმპირებული ჩინოვნიკი, ნარმანია!

ეს ხომ არის ივანიშვილის მხრიდან ქართველი ხალხისთვის სახეში შეფურთხება?! სახელმწიფოსთვის სახეში შეფურთხება და იმის თქმა, მე სულ ფეხებზე მკიდია ქართული სახელმწიფო და მისი კანონმდებლობაო! ადამიანს, რომელსაც ციხეში უნდა უშვებდნენ, მთავარ აუდიტორად გვინიშნავენ! ეს იგივეა, შინაგან საქმეთა მინისტრად კანონიერი ქურდი რომ დანიშნონ!

# ამერიკული ავტომობილების 50%-ს საბუთში უწერია, რომ ჯართია

მარჯვენასაჭიანი ავტომობილების რეგისტრაციის აკრძალვამ ამ ავტომობილების რეალიზაცია მინიმუმამდე დაიყვანა, ეს მაშინ, როცა 2016 წელს მარჯვენასაჭიანი ავტომობილების იმპორტი საქართველოში 40%-იან ზღვარს გადასცდა.

ყველაზე მეტად ამ რეგულაციის გამო ავტოდილერებმა იზარალეს.

– იაპონური ანუ მარჯვენასაჭიანი ავტომობილები ხარისხითაც სჯობია ამერიკულს და გაცილებით ახალიც არის, ამიტომ ისინი ძალიან კარგად იყიდებოდა. ამჟამად რა ხდება? – ბაზარზე მოიმატა ამერიკიდან შემოსული ავტომობილების რიცხვმა, რომელთა 50%-ს საბუთში უწერია, რომ ეს არის ჯუნკ ანუ ჯართი. ესე იგი, ჩვენ, ქართველები, მეჯართეები ვყოფილვართ – შემოგვაქვს ჩამოწერილი, ჯართად ქცეული მანქანები და მერე ამ ჯართით დავდივართ, – განაცხადა ერთ-ერთმა დილერმა „ბიზნესპრესნიუსთან“ საუბრისას.

იაპონური ავტომანქანების რიცხვის შემცირებაზე საუბრობენ ავტოიმპორტიორებიც. ამის თაობაზე შპს „ფორვარდერის“ დირექტორის მოადგილე დავით ჯეჯელავა გვესაუბრა:

**დავით ჯეჯელავა:**

– კომპანია „ფორვარდერი“ სახმელეთო და საზღვაო გადაზიდვებით არის დაკავებული და სხვადასხვა სახის ტვირთი შემოაქვს, მათ შორის, ავტომობილებიც. ამერიკიდან მანქანები ადრეც შემოგვყავდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც იაპონური მანქანების შემოყვანა შეიზღუდა, ამერიკული მანქანების იმპორტი ძალიან გაიზარდა. რა ბედი ეწია უკვე შემოყვანილ იაპონურ ავტომობილებს? – ცნობილი ფაქტია, რომ გასულ წელს საქართველოში იაპონური ავტომობილების დიდი რაოდენობა შემოვიდა. დაახლოებით 6 თვის წინ, უამინდობის გამო ფოთის პორტში შესასვლელი ყური ამოივსო და 4-5– თვე დასჭირდა, რომ იქ დაგროვილი ტვირთი დაეცალათ, ამის გამო ტერმინალზე მანქანების დიდი რაოდენობა დაგროვდა. ეს ავტომობილები უმეტესად გადამყიდველებს მიჰყავდათ, მაგრამ რეგულაციის გამო მათი განბაჟება გაძვირდა, ამიტომ ზოგიერთმა მათგანმა საერთოდ დატოვა ეს ავტომობილები. ამის გამო, ტერმინალმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ პორტში ჩარჩენილი ავტომობილები სხვა ავტოსადგომზე გადაეყვანათ. დღეს ეს პრობლემა უკვე მოგვარებულია.

დავით ჯეჯელავას თქმით, პორტში ზოგიერთი ავტომობილი თვეების განმავლობაში დგას:

– როდესაც პორტში დიდი რაოდენობით ავტომობილი გროვდება, ეს ფორვარდერის ან ავტომანქანის მყიდველის ბრალია, რადგან ასეთი ავტომობილი დავალიანების ქვეშ იმყოფება. დღეს იაპონური მანქანები მცირე რაოდენობით შემოდის – დაახლოებით 100 კონტეინერი, რაც 400-450 ავტომანქანას ნიშნავს. ჩვენ სპეციალური ტერმინალი გვაქვს რუსთავში, ავტობაზრობაზე. ყველა ფორვარდერ კომპანიას არა აქვს საკუთარი ტერმინალი და მანქანებს პორტში დიდი ხნით ტოვებს. ზემოთ უკვე გითხარით, რომ ასეთი ავტომობილები ფოთის ტერმინალს სხვა ადგილას გადაჰყავს.

ავტოიმპორტიორი იმ პრობლემებზეც გვესაუბრა, რომლებიც გადამზიდავ კომპანიებს ქართულ პორტებში ექმნებათ:

**დავით ჯეჯელავა:**

– ჩვენს ბიზნესში ყველამ იცის, რომ ფოთის პორტი ფორვარდერებს ბათუმის პორტთან შედარებით ხელსაყრელ პირობებს სთავაზობს, რის გამოც ის უფრო მეტად არის დატვირთული. მთავარი პრობლემა, რაც არის ბათუმში და არ არის ფოთში, ასეთია: ბათუმის პორტი ექსკლუზიურად ემსახურება მხოლოდ ერთ საზღვაო ხაზს – MSC -ს, რის გამოც იქ სხვა ხაზები ვერ შედიან. ისინი არაკონკურენტუნარიანები არიან MSC-თან შედარებით და უარს აცხადებენ ამ პორტში შესვლაზე. კომპანია „ფორვარდერს“ დიდი სურვილი აქვს, შევიდეს ბათუმში, მაგრამ შევიდეს „Maersk lin“-ის „zim“-ის ან სხვა საზღვაო ხაზის მეშვეობით, თუმცა ბათუმის პორტი მათ იმდენად მაღალ ფასს სთავაზობს, რომ უარს ამბობენ იქ შესვლაზე. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ტექნიკურად ფოთის პორტი უფრო მომზადებულია ტვირთის მისაღებად, გასაგებია, რატომ არის ის ყოველთვის დატვირთული. ჩემი აზრით, ბათუმის პორტს ტექნიკაც კი მოძველებული აქვს. ექსპერტი არ ვარ, ამ საქმეში დიდი გამოცდილება მაქვს და ვიცი. ჩვენს კომპანიას ყოველთვის ჰყავს კლიენტები, რომლებსაც სურთ, რომ ტვირთი ბათუმში ჩავუტანოთ, მაგრამ რადგან საზღვაოxaz MSC -სთან არ ვთანამშრომლობთ, ვერ ჩაგვაქვს. სხვა ხაზებს ბათუმის პორტი არაადეკვატურ ფასს სთავაზობს. ფოთის პორტი კი, ყველა ხაზის მისაღებად მზად არის და ყველას თანაბარი კონკურენციის პირობებში აყენებს. იქ ყველა ფორვარდერს და ყველა საზღვაო ხაზს თანაბარი უფლებები აქვს.



დავით ჯეჯელავას თქმით, ფოთის პორტი უფრო მეტ ტვირთს იღებს, რადგან ამ პორტში მომსახურების დონე ბევრად მაღალია:

– გარდა პორტისა, ფოთში არის ტერმინალი, რომელიც ბევრად უფრო მომზადებულია, ვიდრე ბათუმის ტერმინალი. გემები პორტში შედიან, ხოლო ტერმინალს კონტეინერების დაცლა და დასაწყობება ევალება. ფოთის პორტის და ტერმინალის ტვირთგამტარობა უფრო მეტია, თანაც, ბათუმი საკურორტო ზონაა და მისი პორტი არ არის გათვლილი იმდენი გემის მიღებაზე, რამდენსაც ფოთის პორტი ახერხებს. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ დიდი სურვილი გვაქვს ბათუმის პორტთან ვიმუშაოთ, ეს არ გამოგვდის, – აცხადებს დავით ჯეჯელავა.

შპს „ფორვარდერის“ წარმომადგენლის შეფასებას კომპანია „ისტ გეით გრუპის“ დირექტორი დავით დავითიძეც ეთანხმება:

– გადამზიდავ კომპანიებს ბათუმთან შედარებით ფოთის პორტში უფრო მეტი შესაძლებლობები აქვთ. ჩემი აზრით, ამ ორი პორტის შედარება არც შეიძლება, რადგან ბათუმში სულ 4-5– ნავმისადგომია, რის გამოც ამ პორტს დიდი რაოდენობით ტვირთის მიღება არ შეუძლია. საბედნიეროდ, დღეს ფოთის პორტი ისე გადატვირთული აღარ არის, როგორც ზამთარში, სანაპირო ზოლთან შექმნილი პრობლემების გამო იყო. მაშინ ფოთის პორტი გემებს აღარ ღებულობდა. საბედნიეროდ, ეს პრობლემები მოგვარდა და დღეს ფოთის პორტი ჩვეულ რეჟიმში განაგრძობს მუშაობას“ – აცხადებს „ისტ გეით გრუპის“ დირექტორი.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# აღიძვრება თუ არა ნარმანიას წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე

## ლევან ხაბეიშვილი: „2 ხელშეკრულებიდან მერიამ 5.178.000 ლარი მოტეხა“

შორენა მარსაგიშვილი



**„გიორგი ვაშაძე – ახალი საქართველო" დედაქალაქის მერისა და უშუალოდ დავით ნარმანიას წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრას ითხოვს. პარტიის ლიდერებმა გიორგი ვაშაძემ და ლევან ხაბეიშვილმა საგანგებო ბრიფინგზე დოკუმენტებიც წარმოადგინეს. როგორ „მოტყდა" 2 ხელშეკრულებიდან 5 მილიონზე მეტი, საიდან ჩაუვარდათ ხელში ეს დოკუმენტები და რას ითხოვენ საგამოძიებო უწყებისგან? – ამ თემებზე „ახალ თაობას" ლევან ხაბეიშვილი ესაუბრება.**

**ლევან ხაბეიშვილი:**

– ჩვენ დაახლოებით ერთი წლის განმავლობაში ვიბრძოდით იმისთვის, რომ ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხანა დაბრუნებოდა თავის საქმიანობას, რომელიც მას შემდეგ შეჩერდა, რაც დედაქალაქის მერის პოსტზე დავით ნარმანია მოვიდა.

ვამტკიცებდით, რომ ამ ქარხნის მუშაობა აუცილებელი იყო. ამ ქარხანაში ვაგონების მოდერნიზება-შეკეთება ხდება. ისინი რომ არა, თბილისის მეტროს

შეექმნებოდა მუშაობის პრობლემა.

ჩვენ სანამ ამ ქარხნის ასამუშავებლად ვიბრძოდით, დავით ნარმანიამ მოახერხა იმდენი, რომ ამ სააქციო საზოგადოებაში შეიცვალა ხელმძღვანელი პირი, მოვიდა ის ადამიანი, რომელსაც „ქართული ოცნება“ და თბილისის მერი ენდობოდნენ.

ხელმძღვანელი პირის შეცვლის შემდეგ ქარხანასთან დაიწყო ხელშეკრულებების გაფორმება. სწორედ აქ არის კონკრეტული დარღვევები. დარღვევების შესახებ ინფორმაცია ქარხნიდან მოგვაწოდეს.

***– სანდოა ამ ადამიანების მიერ მოწოდებული ინფორმაცია?***

– სანდოა. „ახალ საქართველოს“ მოგვაწოდეს „ექსელის ფაილები“, სადაც მოცემულია ციფრები, თუ რამდენი ფული დახარჯა მერიამ მეტროს ვაგონების შეკეთებაზე. მარტო ორი ხელშეკრულებიდან 5.178.000 ლარი მოტეხეს.

ერთი ხელშეკრულების ღირებულება 7.499.000 ლარს შეადგენს, ჩვენს ხელთ არსებული დოკუმენტაციით კი სულ სხვა რამე დგინდება. რეალური ფასთწარმოება სულ სხვა რამეზე მიუთითებს. ხელშეკრულებაში გაფორმებული თანხის ნაცვლად რეალური დანახარჯი იყო 3.000.900 ლარი. ფაქტობრივად, 3,5 მილიონი აართქლეს ამ ხელშეკრულებიდან.

ამავე ქარხანასთან გაფორმდა კიდევ ერთი, 3.199.000 ლარის ღირებულების ხელშეკრულება. ამ შემთხვევაში დაახლოებით 1.600.000 ლარი გაქრა. ორივე შემთხვევაში 5.178.000 ლარი „მოუტეხეს“ ბიუჯეტს.

ახლო მომავალში ჩვენ გავასაჯაროებთ, რა არის რეალური ფასთწარმოება და რა წერია ხელშეკრულებაში.

ჩვენ კიდევ ერთი საინტერესო დეტალი გავარკვიეთ. ამ კომპანიას, რომელსაც ნარმანიამ ხელშეკრულება გაუფორმა, სომხეთში გამართულ ტენდერშიც აქვს მიღებული მონაწილეობა. მათ სამუშაოების შესასრულებლად ბევრად ნაკლები თანხა მოითხოვეს.

***– იგივე სამუშაო უნდა შეესრულებინათ, რაც თბილისში?***

– იგივე სამუშაო იყო შესასრულებელი და შედარებით ნაკლები ფასები ჰქონდათ მითითებული. ამ კომპანიამ სომხეთში ტენდერი წააგო. ტენდერში სხვა კომპანიამ გაიმარჯვა, რომელმაც ერევანს ბევრად უფრო იაფი მომსახურება შესთავაზა. ეს კომპანიაც ქართულია.

ნაწილები, რომლებიც ვაგონების მოდერნიზება-შეკეთებისთვის არის საჭირო, გაიაფდა. ნაწილები რუსეთიდან შემოაქვთ და იქ ამ პროდუქციაზე ფასებმა დაიკლო.

ამ საკითხზე კონსულტაციები გვქონდა იმ ადამიანებთან, რომლებიც ამავე სფეროში მუშაობენ კიევში, ტაშკენტსა და ბაქოში. ისინი გვიდასტურებენ, რომ ხელშეკრულებაში რეალურ ღირებულებაზე ბევრად მაღალი ფასებია მითითებული. ეს ყველაფერი ბიუჯეტიდან თანხების მისათვისებლად გაკეთდა.

იმედი გვაქვს, პროკურატურა ამ საქმით დაინტერესდება და გამოძიებაც დაიწყება. მიგვაჩნია, რომ ამ შემთხვევაში საქმე დავით ნარმანიას წინააღმდეგ უნდა აღიძრას.

***– უშუალოდ დავით ნარმანიას წინააღმდეგ რატომ?***

– იმიტომ, რომ ეს მისი პერსონალური პასუხისმგებლობის საკითხია. ჩვენ ჩვენი მხრიდან საგამოძიებო უწყებას სერიოზულ დოკუმენტაციას მივაწვდით.

***– ცოტა ხნის წინ თქვენ უფასო სასადილოებთან დაკავშირებითაც მიმართეთ პროკურატურას. გასულ კვირაში მოხდა გიორგი ვაშაძის დაკითხვა. კიდევ თუ არის რაიმე სიახლე?***

– მეტი სიახლე ჯერ არ არის, მაგრამ მიმაჩნია, რომ წარმატება მიღწეულია. ჩვენ მიერ მოპოვებული მასალების მიხედვით აღიძრა სისხლის სამართლის საქმე და მიმდინარეობს გამოძიება. იმედი მაქვს, დამნაშავეებს მალე აგებინებენ პასუხს. უპოვარი ადამიანების ხარჯზე ფულის გაკეთება დანაშაულიც არის და უსინდისობაც.

უფასო სასადილოებში აქტიურად დარბიან გამგეობების წარმომადგენლები, პირადად ამოწმებენ საკვების ხარისხს, მერე ამ ფოტოებს ფეისბუქზე დებენ და აცხადებენ, რომ უფასო სასადილოებში გემრიელი საჭმელებია. ჩვენ მიერ კვლევის გამოქვეყნების შემდეგ საკვები ოდნავ გააუმჯობესეს. ამ საქმეს არ მოვეშვებით და დამნაშავეების დადგენამდე არ გავჩერდებით.

ამაზეც უნდა აგოს ნარმანიამ პასუხი.

***– გჯერათ, რომ ამაზე ნარმანია პასუხს აგებს?***

– საქართველოს ეყოლება აპოლიტიკური პროკურატურა, რომელიც აუცილებლად მოსთხოვს პასუხს ნარმანიას.

***– თუმცა მანამდე ის აუდიტის სამსახურის უფროსის პოსტს ჩაიბარებს.***

– ეს ნარმანიას ვარაუდია და, შესაძლოა, არც დანიშნონ ამ თანამდებობაზე. ის ფაქტი, რომ ნარმანიას კანდიდატურა გენერალური აუდიტორის პოსტზე დასახელდა, თბილისელების დაცინვაა. ეს იმაზე დიდი დაცინვაა, ვიდრე კახა კალაძის მერობა.

***– კალაძის მერობა რატომ არის თბილისის დაცინვა?***

– კაცმა, რომელმაც გაზპრომს ასიამოვნა, თავისი ნათესავებით გაავსო დედაქალაქის მერია (ცოლისძმა, ცოლის ბიძა, ცოლის დეიდაშვილი), ენერგეტიკის სამინისტროს კომპანიაში დაასაქმა ცოლისძმის სიდედრი და ასე შემდეგ, გარდაბანში გამგებლად გაიყვანა ჯამარაული. კობიაშვილს რომ ფედერაციის პრეზიდენტობა მოეგო, დღისით-მზისით ადამიანი „მოიპარეს“ და ერთ ხმაში გაცვალეს.

კორცხელში სპორტსმენების ხელით მოაწყო დარბევა. პარლამენტში შეიყვანა ყაველაშვილი, კობიაშვილი, ბენაშვილი და ასეთები. ეს არის მცირე ჩამონათვალი მისი საქმენი საგმირონისა. და რატომ იქნება ნარმანიაზე უკეთესი მერი?

# ირაკლი ალადაშვილი: „სამხედრო-სავალდებულო სამსახური უნდა არსებობდეს“

## „თუ ყველა ფიქტიურ მღვდლობას დაიბრალებს, მაშინ ქვეყანას ვინ დაიცავს?“

ნათია ხურცილავა

**პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილის ინიციატივას კომიტეტის სხდომაზე მხარი უმრავლესობამ და ოპოზიციამ დაუჭირეს. სესიაშვილის ინიციატივით, სამხედრო-სავალდებულო სამსახურისთვის თავის არიდება მკაცრდება და ის შეიძლება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის მიზეზი გახდეს.**

ამ საკითხებზე „ახალი თაობა“ სამხედრო-ანალიტიკურ ჟურნალ „არსენალის“ მთავარ რედაქტორ ირაკლი ალადაშვილს ესაუბრა.

***– ბატონო ირაკლი, რამდენად ეთანხმებით კომიტეტის თავმჯდომარის ინიციატივას, რომ სამხედრო-სავალდებულო სამსახურისთვის თავის არიდება დასჯადი გახდეს?***

– ბოლო პერიოდში სავალდებულო-სამხედრო სამსახურში გაწვევასთან დაკავშირებით გარკვეული ვნებათაღელვა არსებობს. ერთი მხრივ, ეს უკავშირდება „გირჩის“ ინიციატივას, რომლის მიხედვითაც შექმნილია რელიგიური ორგანიზაცია, რომელიც ცნობას აძლევს ახალგაზრდებს, თითქოს ისინი მღვდელმსახურები არიან და ამ გზით ეს ახალგაზრდები სამხედრო-სავალდებულო სამსახურს თავს არიდებენ. თავად „გირჩიც“ აღიარებს, რომ ეს ცნობა ფიქტიურია, მაგრამ აქ მთავარი არის ის, რომ ეს ახალგაზრდები მიდიან ამაზე, თავს არიდებენ ჯარს.

***– სესიაშვილს არც დაუმალავს,***



***რომ გარკვეულწილად მისი ინიციატივა ამ საკითხსაც უკავშირდება.***

– გასაგებია, თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის ეს ინიციატივა ერთგვარ კავშირში რომ იყო ამ ფიქტიურ ცნობებთან, რომ ახალგაზრდებმა არ ისარგებლონ ამ ფიქტიური ცნობებით და ასე არ აარიდონ თავი სავალდებულო-სამხედრო სამსახურს.

საქართველოს კანონი სამხედრო-სავალდებულო სამსახურთან დაკავშირებით მთელ მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალურია, რადგანაც არსებობს ბევრად უფრო მკაცრი კანონმდებლობაც სხვადასხვა ქვეყანაში. თუმცა, ცხადია, ასევე არსებობს როგორც სავალდებულო, ისე ალტერნატიული სამსახურებიც. თანხის გადახდითაც შეუძლიათ თავის არიდება, ასევე არსებობს გაწვევის გადავადება და საკონტრაქტო სამხედრო სამსახური.

***– გაწვევის მოქმედ სისტემას ეთანხმებით?***

– საუბარია ერთ წელიწადზე, თანაც ეროვნულმა თავდაცვამ ახლებურად დაიწყო წვევამდელების მომზადება. ეს მომზადება ბევრად უფრო ღირსეულია. ეს ადამიანები მიიღებენ იმ ცოდნას, რომელიც რეზერვის სამსახურში გამოადგებათ. თუ ამ ქვეყნის მოქალაქეები ვართ, იმაზეც უნდა ვიფიქროთ, რომ ჩვენი ქვეყანა დავიცვათ.

***– ხიდაშელის მინისტრობის დროს გვახსოვს სესიაშვილისა და ხიდაშელის დაპირისპირება სწორედ ამ საკითხზე. ქალბატონი ხიდაშელი თვლიდა, რომ მთლიანად საკონტრაქტო სისტემაზე უნდა გადასულიყო ჯარი, სესიაშვილი კი სავალდებულო-სამხედრო სამსახურის იდეას იცავდა. რეალურად თანამედროვე ჯარის შესაქმნელად რა უფრო მისაღებია?***

– იდეალურ შემთხვევაში კარგია საკონტრაქტო სამსახური, მაგრამ რეალურად არსებული ბიუჯეტის ფონზე ძნელად წარმოსადგენია ამის მიღწევა. ჩვენი ქვეყნის ეკონომიკას არ აქვს იმხელა საშუალება, რომ შეინახოს დიდი არმია კონტრაქტით. პრეზიდენტი კი აცხადებს ყოველწლიურად, რომ შეიარაღებული ძალების რაოდენობა, მაგალითად, 37 ათასია, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ამდენივე მსახურობს. ამხელა არმიის საკონტრაქტო პირობებით შენახვა ძალიან დიდ თანხასთან არის დაკავშირებული. ამიტომ არის საუბარი სარეზერვო სამსახურზე.

თუ სარეზერვო სისტემა იქნება ეფექტური და, იმედია, რომ იქნება, მაშინ საჭიროების შემთხვევაში ქვეყანას რეზერვიც ექნება. რაც შეეხება სავალდებულო-სამხედრო სამსახურს, ეს კარგი საშუალებაა იმისთვის, რომ სწორედ რეზერვი მომზადდეს. ერთწლიანი სავალდებულო სამსახურის გავლის შემდეგ ისინი უკვე იქნებიან რეზერვის ბაზისთვის მზად.

მეორე მხრივ, ჯარში სამსახური ახალგაზრდა მამაკაცისთვის საინტერესო უნდა იყოს. ახალგაზრდა გადის ოჯახიდან და დამოუკიდებლად ცხოვრებას სწავლობს, გარდა ამისა, ფიზიკურად ემზადება, სწავლობს იარაღთან ურთიერთობას, თავისა და ოჯახის დაცვას. ეს არ არის უმნიშვნელო საქმე.

თუმცა, ამ მხრივ ყველაზე დიდი პრობლემა არის ის, რომ ახალგაზრდამ სამსახური იშოვა და ამ დროს უწევს ჯარში წასვლა, რა თქმა უნდა, ის კარგავს სამსახურს. თუ ადამიანი არც მუშაობს და არც სწავლობს, მაშინ მისთვის ეს ერთი წელი საინტერესო უნდა იყოს, გაატაროს სწორედ ჯარში, იქნებ ძალიან მოეწონოს სამხედრო საქმე და საკონტრაქტო ჯარში გადავიდეს. მე, მაგალითად, ჯარში ვისწავლე შვეულმფრენის ტექნიკური მომსახურება და უჩემოდ შვეულმფრენი ვერ აფრინდებოდა. მე მივიღე ის ცოდნა, რაც შემდეგ ჩვენს ომებში ძალიან გამომადგა.

***– თუმცა, სავალდებულო-სამხედრო სამსახურისთვის თავის არიდების ყველა შემთხვევა, არა მგონია, სამსახურის დაკარგვის შიშით უყოს გამოწვეული. ხშირ შემთხვევაში საუბარია პირობებზე. გამოსწორდა პირობები თუნდაც ყაზარმებში?***

– სამწუხაროდ, საქართველოში არის ოჯახები, რომლებსაც ეკონომიკურად ძალიან უჭირთ და მათი შვილები ჯარში მიდიან იმიტომ, რომ ერთი წელი ოჯახს არ დააწვნენ და თავი ჯარში გაიტანონ. იმის თქმა, რომ ჯარში დღეს საკვები, ჩასაცმელი და პირობები არ არის, რთულია. იდეალური სიტუაცია არ არის, პრობლემებია, მაგრამ არც ისეა, რომ არაფერი არ არის.

***– ნატოს წევრ სახელმწიფოებში გაწვევის საკითხი როგორ რეგულირდება? სტანდარტი თუ არსებობს?***

– ასეთი სტანდარტი არ არსებობს, ყველა სახელმწიფო ინდივიდუალურად უდგება, თავისი მოთხოვნილების შესაბამისად. სახელმწიფოთა ნაწილმა გააუქმა სავალდებულო ჯარი, მაგრამ ახლა ისევ აღადგინა.

***– რატომ?***

– იმიტომ, რომ საფრთხეები გაიზარდა. მაგალითად, ბალტიისპირეთში რეალურად აღიქვამენ საფრთხეებს და სავალდებულო სამსახურიც აღადგინეს. უკრაინამ თავის დროზე გააუქმა, მაგრამ ახლა ისევ აღადგინა ცნობილი მიზეზების გამო. როდესაც საფრთხეები რეალურია, პირველი რიგის ამოცანაა, იფიქრო ქვეყნის მთლიანობის შენარჩუნებასა და საფრთხეების თავიდან აცილებაზე.

***– „გირჩის“ ინიციატივაზე მინდა გკითხოთ. ისინი ამბობენ, რომ თანამედროვე სამყაროში არ შეიძლება, ადამიანს დააძალო ჯარში სამსახური. ისინი ევროპულ სტანდარტზე აკეთებენ აქცენტს.***

– მე არ მიმაჩნია, რომ არსებობს რაღაც ევროპული სტანდარტი. ასეთი სტანდარტი, უბრალოდ, არ არსებობს. არსებობს სტანდარტი, რასაც ჰქვია შენი სამშობლოს უსაფრთხოების დაცვა. ევროპულ ქვეყნებს აქვთ თავიანთი გარანტიები, მაგალითად, ევროკავშირის წევრობა, ნატოს წევრობა და ა.შ. თუმცა, რასაკვირველია, არც ეს არის 100%-იანი გარანტიების მომცემი.

ჩვენ არ ვართ არც ნატოს და არც ევროკავშირის წევრი. იარაღით არავინ დაგიდგება გვერდით, ამიტომ საკუთარი თავი შენ თვითონ უნდა დაიცვა და ეს უახლესმა წარსულმა კარგად გვაჩვენა. არის ასეთი მიდგომა, რატომ უნდა დავხარჯოთ ფული, რუსეთს ომს მაინც ვერ მოვუგებთ. ეს არის მცდარი პოზიცია, რადგან სხვა უამრავი საფრთხეც არსებობს. თუ ახალგაზრდები ასე თავს აარიდებენ და ფიქტიურ მღვდლობას დაიბრალებენ, ეს, არა მგონია, სწორი დამოკიდებულება იყოს. არ არის ქვეყნის დაცვა მხოლოდ იმ ხალხის ვალდებულება, ვინც ხელი მოაწერა საკონტრაქტო სამსახურს. ქვეყანა ყველამ უნდა დავიცვათ.

შორენა მარსაგიშვილი

# რისთვის უნდოდა მამა გიორგი მამალაძეს 50 მილიონი ევრო

## ბათუმისა და ლაზეთის ეპარქია საგანგებო განცხადებას ავრცელებს

**ციანიდის საქმე ნელ-ნელა 50 მილიონი ევროს ტრანზაქციის საქმედ გადაიქცა. მას შემდეგ, რაც საპატრიარქოს იურისტმა მამა გიორგი მამალაძის მიერ ფულის გათეთრების მცდელობაზე გააკეთა განცხადება, მაღალი რანგის სასულიერო პირის მოწამვლის მცდელობა ყველას დაავიწყდა.**

ამ საკითხმა იმდენად სერიოზული სახე მიიღო, რომ ბათუმისა და ლაზეთის ეპარქიამაც კი გააკეთა საგანგებო განცხადება. არადა, ეპარქიის წინა განცხადებებში აღნიშნავდნენ, რომ გამოძიების დასრულებამდე კომენტარს არ გააკეთებდნენ.

საპატრიარქოს იურისტ ედიშერ ქარჩავას განმარტებით, სკანდალური დოკუმენტი ცოტა ხნის წინ საპატრიარქოში შემთხვევით აღმოაჩინეს. დეკანოზ გიორგი მამალაძის ადვოკატმა მიხეილ რამიშვილმა „ახალ თაობასთან“ საუბარში განაცხადა, რომ ეს დოკუმენტაცია მამაოს კომპიუტერში ინახებოდა. ეს კომპიუტერი ამჟამად პროკურატურაშია და საგამოძიებო უწყება ამის შესახებ საქმის კურსშია.

მისი თქმით, პროკურატურას რაიმე დარღვევა რომ აღმოეჩინა, აქამდე გააკეთებდა განცხადებას.

ადვოკატ გიორგი ფანცულაიას თქმით კი ეს დოკუმენტი პროკურატურას შესწავლილი აქვს და ამაზე დეკანოზს ჩვენებაც აქვს მიცემული.

მისი განმარტებით, თანხები კონკრეტული პროექტისთვის იყო საჭირო.

— ეს პროექტი ინახებოდა მამაოს კომპიუტერში და ასევე არის ელფოსტით მიმოწერაც. ეს ყველაფერი ამოიღო მთავარმა პროკურატურამ და ინახება იქ. მთავარმა პროკურატურამ ეს თემა შეისწავლა და, რადგან ვერანაირი დარღვევა ვერ აღმოაჩინა, გადაუგზავნა საპატრიარქოში, სავარაუდოდ, შორენას და უნდოდათ, ამით მამაოს დისკრედიტაციისთვის თემა აეგორებინათ. არ არსებობდა ასლი ან სხვა დედანი, გარდა იმისა, რაც მამაოს კომპიუტერში ინახებოდა, — აღნიშნა გიორგი ფანცულაიამ.

მისივე თქმით, გამორიცხული არ არის, გრანტების ჯამურ მოცულობას 50 მილიონი ევრო შეედგინა.

გიორგი ფანცულაიას თქმით, ეს თანხა დეკანოზს საპატრიარქოს საავადმყოფოსა და ჩაქვის სკოლის რეაბილიტაციისთვის სჭირდებოდა.

— საპატრიარქოს კლინიკა გაპარტახებული იყო და რამდენიმე მილიონი ვალი ჰქონდა. აქედან გამომდინარე, უნდა ჩატარებულიყო სერიოზული რეფორმები. შესაბამისად, დანიშვნის მომენტიდან საკუთარი ხელფასი



შეიმცირა ოთხჯერ და, ვინაიდან საპატრიარქოს არ ჰქონდა საშუალება კლინიკაში ვითარების გამოსასწორებლად, დაიწყეს მუშაობა გრანტების მოზიდვაზე.

დაიწერა პროექტი, როგორ მოეზიდათ გრანტები. დონორების საშუალებით მოიძიეს საწოლები, თუმცა ეს იყო ზღვაში წვეთი, ვინაიდან მიზანი იყო კლინიკის სრული რეაბილიტაცია და ამიტომ საჭირო იყო სერიოზული გრანტების მოძიება. ამავე დროს, მამაოს სურდა, ჩაქვში ნორმალური სკოლა ყოფილიყო. ამ გრანტების მოძიებისთვის ესპანეთში დაარსდა ფირმა, რომელიც ფონდებიდან გრანტების მოძიების ფუნქციას ასრულებდა. დაწერილი იყო პროექტი, სადაც პირდაპირ იყო ჩაწერილი, თუ რაში დაიხარჯებოდა თანხები, კერძოდ, უნდა მომხდარიყო კლინიკის რეაბილიტაცია და ჩაქვში უნდა აშენებულიყო სკოლა, — განაცხადა ფანცულაიამ.

ამის შესახებ საქმის კურსში იყვნენ ორი მეუფე და შორენა თეთრუაშვილიც. ეს უკანასკნელი გრანტების მოძიებისას რჩევებსაც იძლეოდა და ითხოვდა, მასონი სოროსის ფონდს არ გავეკაროთო.

— ორი მეუფის ლოცვა-კურთხევით ხორციელდებოდა ეს ყველაფერი და შორენა თეთრუაშვილიც იყო საქმის კურსში. რომელი მეუფეების კურთხევა ჰქონდა, ამას ვერ ვიტყვი, ვიდრე დეკანოზის ნებართვა არ მექნება. შორენა იმდენად იყო გრანტებში ჩართული, რომ ასე ამბობდა: სოროსის ფული არ მოვიზიდოთ, სოროსის ფული არ გვინდა. მასონების ფული არ გვინდა, — განაცხადა ინტერპრესნიუსთან საუბარში ფანცულაიამ.

მოგვიანებით საგანგებო განცხადება გაავრცელა ბათუმისა და ლაზეთის ეპარქიამ, რომელსაც ადვოკატების მხრიდან კიდევ ერთი სკანდალური განცხადება მოჰყვა.

ბათუმისა და ლაზეთის ეპარქიის პრესსამსახურის განცხადებით, ეპარქიასა და მის მღვდელმთავარს არ გააჩნდა ინფორმაცია დეკანოზ გიორგი მამალაძის კერძო სამეწარმეო საქმიანობის შესახებ როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

„ახალი თაობა“ ეპარქიის პრესსამსახურის გავრცელებულ განცხადებას სრულად გთავაზობთ.

— დეკანოზ გიორგი მამალაძის გარშემო განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით გვსურს განვაცხადოთ: ვხედავთ რა საზოგადოების დიდ ინტერესს აღნიშნული საქმისადმი, ჩნდება გარკვეული კითხვები, რომლებზეც ამ ეტაპზე პასუხის გაცემამ შესაძლებელია შეაფერხოს გამოძიების პროცესი. გამოძიების დასრულების შემდეგ შედგება შეხვედრა ჟურნალისტებთან და საზოგადოებაში არსებულ ყველა კითხვას ჩვენი მხრიდან გაეცემა პასუხი. თუმცა არსებობს კითხვები, რომლებსაც ამჟამად ზოგადი პასუხი მაინც უნდა გაეცეს.

სხვადასხვა სატელევიზიო გადაცემაში ადვილად შესამჩნევია ერთი გარემოება, რომ ჟურნალისტების, სტუმრებისა და ადვოკატების მხრიდან ხშირად გარკვეული მინიშნებები კეთდება დეკანოზ გიორგი მამალაძის სადავო ქმედებებთან ბათუმისა და ლაზეთის მიტროპოლიტ დიმიტრის კავშირზე, რაც გარკვეულ ეჭვებს აჩენს, თითქოს ამით ვილაც არის დაინტერესებული. ამის ერთ-ერთი მაგალითი იყო 22 მაისს, 20 საათზე, ტვ პირველის ეთერში გასული გადაცემა „ხალხის პოლიტიკა“, სადაც დეკანოზის ადვოკატი საუბრობს ჩაქვის წმინდა დავით აღმაშენებლის სახელობის სკოლის მშენებლობასთან დაკავშირებით და ბათუმისა და ლაზეთის ეპარქიის საქველმოქმედო საქმიანობაზე.

სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ ეპარქიასა და მის მღვდელმთავარს არ გააჩნდა ინფორმაცია დეკანოზ გიორგი მამალაძის კერძო სამეწარმეო საქმიანობის შესახებ როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. ეს ინფორმაცია ტელევიზიის საშუალებით შევიტყვეთ.

ეპარქიაში არანაირ საქველმოქმედო პროექტთან დაკავშირებით დეკანოზ გიორგი მამალაძეს ეპარქიის მღვდელმთავართან საუბარი არ ჰქონია, ხოლო რაც შეეხება ჩაქვის სკოლის მშენებლობას, რომელიც ადვოკატების მხრიდან იქნა გაჟღერებული, არასწორია, რადგან ჩაქვის წმინდა დავით აღმაშენებლის სახელობის სკოლა აშენდა და ფუნქციონირებს 1998 წლიდან, რომელსაც გარკვეული პერიოდი თავადვე ხელმძღვანელობდა.

რაც შეეხება მის საქართველოს საპატრიარქოში საქმიანობას, ის 2015 წლის 16 ნოემბრიდან სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით გადაყვანილ და გამწესებულ იქნა აღნიშნულ თანამდებობაზე. ის ვალდებული იყო, ყველა მისი ქმედება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან შეეთანხმებინა. რაც შეეხება დასახელებულ თანხას, ჩვენ არანაირ ინფორმაციას არ ვფლობდით ამის შესახებ. ჩვენ ეს მასმედიის საშუალებით შევიტყვეთ.

კიდევ ერთხელ გვინდა განვაცხადოთ, რომ ყველა იმ შეკითხვას, რომლებიც საზოგადოებაში დიდ ინტერესს იწვევს, გამოძიების დასრულებისთანავე ამომწურავ პასუხებს გავცემთ, — ნათქვამია განცხადებაში.

ამ განცხადებამდე ადვოკატი იმ მეუფეების დასახელებისგან თავს იკავებდა, რომლებსაც გრანტების შესახებ ჰქონდათ ინფორმაცია. ამის შემდეგ კი გიორგი ფანცულაიამ თქვა, რომ ბათუმისა და ლაზეთის მიტროპოლიტი, მეუფე დიმიტრი აქტიურად იყო ჩართული სკოლის მშენებლობის საკითხებში.




— მეუფე დიმიტრი არათუ საქმის კურსში იყო, რამდენსართულიანი სკოლა უნდა აშენებულიყო, არამედ რამდენი სპორტული მოედანი და რა სხვადასხვა დანიშნულება უნდა ჰქონოდა, ამის განხილვაშიც კი მონაწილეობდა. იმ სკოლაში უნდა ყოფილიყო ძალიან ცნობილი ლაბორატორიაც, უნდა ყოფილიყო ობსერვატორია, ჩოგბურთის მოედანი, სხვადასხვა სპორტული კომპლექსი, 6-სართულიანი შენობა უნდა ყოფილიყო. ამის ნახაზიც კი მეუფე დიმიტრის კაბინეტში იდო, — განაცხადა ინტერპრესნიუსთან საუბარში ფანცულაიამ.

კლინიკისთვის თანხების მოძიების შესახებ ინფორმაცია კი პირადად პატრიარქს ჰქონდა:

— უშუალოდ პატრიარქი იყო საქმის კურსში, რომ საპატრიარქოს კლინიკის განახლებისთვის მიმდინარეობდა გრანტების მოძიება. პატრიარქმა იცოდა პირადად დეკანოზისგან, რომ ის ეძებდა გრანტებს.

* * *

მას შემდეგ, რაც ედიშერ ქარჩავამ დეკანოზი ფულის გათეთრებაში დაადანაშაულა, მამა გიორგიმ გადაწყვიტა, საპატრიარქოს წინააღმდეგ სარჩელი შეიტანოს.

ამ ინფორმაციის გაჟღერებას საპატრიარქოში უარყოფითი რეაქცია მოჰყვა. მათი თქმით, დაუშვებელია, სასულიერო პირების საქმე საერო სასამართლომ განიხილოს.

ამის საპასუხოდ მამა გიორგი საეკლესიო სასამართლოს შექმნასა და მის საკითხთან ერთად იმ მღვდელმთავრების საკითხის განხილვას მოითხოვს, რომლებიც ბიზნეს და სამეწარმეო საქმიანობას ეწევიან.

შორენა მარსაგიშვილი

# შეხვდა თუ არა ქუმსიშვილი მედვედევს

**პირველი ვიცეპრემიერის დიმიტრი ქუმსიშვილის გარშემო სკანდალი აგორდა. სოციალურ ქსელში გავრცელდა ფოტო, სადაც ჩვენებური და რუსეთის მთავრობის მეთაური დიმიტრი მედვედევი ერთმანეთის გვერდით დგანან.**

ამ ფოტოს გავრცელებას ერში დიდი უკმაყოფილება მოჰყვა. გარდა იმისა, რომ საქართველოს რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვეტილი აქვს, დიმიტრი მედვედევი ის კაცია, რომელმაც 2008 წლის აგვისტოში საქართველოს წინააღმდეგ ძალის გამოყენების ბრძანებას მოაწერა ხელი, რამდენიმე კვირაში კი უკვე სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების აქტზე დასვა თავისი ავტოგრაფი. ამ კაცს მაშინ რუსეთის პრეზიდენტის პოსტი ეკავა.

ავადსახსენებელი მედვედევისა და ჩვენებურის გზები სტამბოლში გადაიკვეთა სადაც გუშინ, 22 მაისს, შავი



ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის დაარსებიდან 25 წლის იუბილე დიდი ზარ-ზეიმით აღინიშნა.

საიუბილეო სამიტს ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოთა მთავრობის მეთაურები და წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

საქართველოს დელეგაციას სტამბოლში ვიცეპრემიერი და ფინანსთა მინისტრი დიმიტრი ქუმსიშვილი ხელმძღვანელობდა, რუსებს კი სტამბოლში ქვეყნის პრემიერ-მინისტრი დიმიტრი მედვედევი წარუძღვა.

სამიტის მონაწილეებმა, როგორც წესი და რიგია, სამახსოვრო ფოტოც გადაიღეს. ფოტოზე ჩვენებური მედვედევის გვერდით მოხვდა.

ამას დიდი მითქმა-მოთქმა მოჰყვა. სოციალურ ქსელში იმ თემებსაც კი განიხილავდნენ, თუ რაზე ისაუბრეს რუსმა და ქართველმა.

ამ საკითხზე კომენტარი მედვედევთან ერთად ფოტოგადაღებულმა ქუმსიშვილმაც გააკეთა და აღელვებული ერი დაამშვიდა.

მისი თქმით, მათ შორის არანაირი შეხვედრა არ ყოფილა. საბედისწერო ფოტოზე კი ისინი ერთად პროტოკოლის გამო მოხვდნენ.

— არ ყოფილა არანაირი შეხვედრა. რაც შეეხება ფოტოს, ეს იყო პროტოკოლური ფოტო. ჩვენ ყველანი შეგვიყვანეს და იმ ადგილას დაგვაყენეს, — აღნიშნა ჟურნალისტებთან საუბარში ქუმსიშვილმა.

# დასავლელი ექსპერტები: „რუსეთი ახალ აგრესიას დაიწყებს“

## ამერიკის მოკავშირეებს ტრამპის არათანმიმდევრულობა აშფოთებთ

მარიამ მჭედლიშვილი

**დასავლელი ექსპერტები რუსეთის მხრიდან ახალ აგრესიას ვარაუდობენ. რუსეთის სამიზნეებში მოიაზრება საქართველოც. ამის შესახებ ანალიტიკოსებს ადრეც ესაუბრიათ. ახალი აგრესიის საბაბს იძლევა რუსეთის ხელისუფლების შერყეული ავტორიტეტი საკუთარ ქვეყანაში და რუსეთის მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა.**

მომავალი წლის მარტში რუსეთში საპრეზიდენტო არჩევნებია დანიშნული. პრეზიდენტ პუტინს, რომელიც პრეზიდენტობას კიდევ აპირებს, ძველებურად მყარი პოზიციები აღარ აქვს. მისი რეიტინგი დაეცა. ეკონომიკური გაძლიერების შანსი რუსეთს არ გააჩნია.

პოლონელი ანალიტიკოსების სიტყვებით, მაშინ, როცა რუსეთის მოსახლეობის ნდობა ხელისუფლების მიმართ შემცირდა, ხოლო მაცივარმა აჯობა ტელევიზორს, პუტინმა გააჩაღა ომი უკრაინაში. დღეს რუსეთის ეკონომიკა უმძიმეს დღეშია. აქედან გამომდინარე, კრემლისგან მოსალოდნელია მძიმე სცენარები.

რუსეთის მოსახლეობის უკმაყოფილება დიდია. რეალური პროტესტი და გულწრფელი აღშფოთება გამოიხატება არა მოსკოვის სანახაობად ქცეულ საპროტესტო აქციებზე, არამედ, პერიფერიებში. ოპოზიციის ლიდერები ალექსეი ნავალნი და მიხეილ ხოდორკოვსკი კრემლის ნამდვილი მოწინააღმდეგეები არ არიან, ამიტომ, მათ არ არბევენ. დაღესტანში გამოსულ ხალხს კი ცენტრალურმა ხელისუფლებამ ჯავშანტრანსპორტიორები მიუსია.

რუსეთის ფედერალურ ბიუჯეტს 84%-ით ავსებს ნავთობის ექსპორტიდან მიღებული შემოსავლები. რუსეთს ნავთობი ეწურება. ამჟამად მარაგის მხოლოდ 6% დარჩა. გარდა ამისა, 2014 წელს დაწესებული სანქციების გამო რუსეთმა იზარალა 170-დან 250 მილიარდ დოლარამდე. ხელისუფლება ზრდის გადასახადებს და ამცირებს სოციალურ პროგრამებს. ასე მოხდა ანექსირებულ ყირიმში.

პუტინისგან აგრესიას ელიან ჩეხი ექსპერტებიც. მათი ინფორმაციით, როცა საქმე ეხება ისეთ საკითხებს, როგორიცაა ანექსია, პუტინი გადაწყვეტილებებს ერთპიროვნულად იღებს. მაგალითად, ყირიმის ანექსიის გადაწყვეტილების მიღების დროს რუსეთის პრეზიდენტთან მარტო უშიშროების საბჭოს მდივანი ნიკოლაი პატრუშევი იმყოფებოდა.

პუტინს ჰყავს თანამოაზრეები და არაოფიციალური მრჩევლები. პუტინი მათ ხანდახან უსმენს. არის შემთხვევები, როცა გადამწყვეტია სპეცსამსახურების თანამშრომლების პოზიცია. მაგალითად, ხელისუფლებამ არ შეისმინა ბიზნესის მოწოდება უკრაინასთან დაკავშირებით. ბიზნესელიტა მოუწოდებდა პუტინს, არ გაერთულებინა ურთიერთობა დასავლეთთან და არ მიეყვანა საქმე სანქციებამდე.

ჩეხი ექსპერტების თქმით, პუტინისა და მისი გარემოცვის მთავარი საზრუნავი ამჟამად საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებაა, რისთვისაც ყველანაირ მეთოდს გამოიყენებენ.

ითვლება, რომ რუსეთის ხელისუფლება კარგად იყენებს აშშ-ის პრეზიდენტის გადაცდომებსა და არათანმიმდევრულობას. რუსეთის ურთიერთობა აშშ-ის პრეზიდენტ ტრამპთან ისევ ბურუსითაა მოცული.

ბრიტანული „ფაინენშელ თაიმსის“ შეფასებით, დონალდ ტრამპის დამოკიდებულება რუსეთისადმი გამოცანაა.

გაზეთის აზრით, მოკავშირეები ტრამპისაგან თანმიმდევრულ ნაბიჯებს არ ელიან. იგი არაპროგნოზირებადია, რაც იწვევს დესტაბილიზაციას მსოფლიოში.

ამ დღეებში ტრამპმა თავისი ტურნეს დროს მიმართა მოკავშირეებს საუდის არაბეთსა და ისრაელში. მისი განცხადებები დამამშვიდებელია, მაგრამ ისინი არ ხსნის მანამდე ჩამოყალიბებულ გაურკვევლობას.

ამერიკის მოკავშირეები შეშფოთებული არიან აშშ-ის პრეზიდენტის მოქმედებებით. ტრამპი სხვა სახელმწიფოებს ექცევა, როგორც კონკურენტებს ბიზნესში, რომლებიც ან უნდა მოხიბლო, ან კალაპოტიდან ამოაგდო. თავად პრეზიდენტი ამას გარიგების ხელოვნებას უწოდებს, მაგრამ დიპლომატიაში არაპროგნოზირებადობა საშიშია. განსაკუთრებით, ამერიკის მოკავშირეებისთვის, რომლებიც თავიანთ გლობალურ სტრატეგიას აგებენ აშშ-ის სტაბილურობასა და საიმედოობაზე.

„ფაინენშელ თაიმსის“ სიტყვებით, აშშ-ის პრეზიდენტი გაურკვევლობის სამი დონით ხასიათდება: პირველია პოლიტიკური კურსი, მეორე – ტემპერამენტი და მესამე – მდგომარეობის არამდგრადობა.



აშშ-ში არიან დონალდ ტრამპისათვის იმპიჩმენტის გამოცხადების მსურველები. ერთ-ერთი მათგანია წარმომადგენელთა პალატის დემოკრატი წევრი ელ გრინი. მისი აზრით, პრეზიდენტის წინააღმდეგ იმპიჩმენტის პროცედურა დასაწყებია იმის გამო, რომ იგი ხელს უშლის გამოძიებას.

გამოძიება იკვლევს ტრამპის შესაძლო კავშირს რუსეთთან საპრეზიდენტო არჩევნების დროს.

# თენგიზ დიხამინჯია: „ევროპა ჩვენ გვემხრობა იმის მიხედვით, თუ როგორ ვინარჩუნებთ სუვერენიტეტს“

გულიკო ბალაძე

**უჭერს თუ არა ევროპა მხარს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში? – „ახალი თაობა“ ამ საკითხზე თენგიზ დიხამინჯიას ესაუბრა.**

***– ბატონო თენგიზ, რას ნიშნავს დიპლომატის იმგვარი განცხადებები, რომლებიც ზალბერმა გააკეთა ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთში, სადაც დადიოდა და ათვალიერებდა ადმინისტრაციულ საზღვარსა და გადასასვლელებს?***

– ზალბერის განცხადებები შემაშფოთებელი და საგანგაშოა. დიპლომატები ასეთ განცხადებებს არ აკეთებენ. გერმანელები და ოსები წარმოადგენენ ინდოევროპულ რასას. ამ თვალსაზრისით, ჰიტლერიდან მოყოლებული და შემდგომ თაობებს აქვთ ისტორიული მეხსიერება, გრძნობენ მონათესავე ეთნოსის ერთობას. შეიძლება, ამითაც იყოს განპირობებული ზალბერის განცხადება. მისი წინამორბედიც დაახლოებით იმავეს ამბობდა. თუმცა, მხოლოდ ამით არ აიხსნება ზალბერის განცხადება.

***– დიპლომატის განცხადებები და ქცევები საქართველოს სეპარატისტულ რეგიონებში რაიმეს მინიშნებაა?***

– პირდაპირი მინიშნებაა. მთავარი არგუმენტია ის, რომ ქვეყნის სუვერენიტეტი და არსებობა კითხვის ნიშნის ქვეშ დგება. ჩვენი პარტნიორები მხოლოდ დეკლარაციებით შემოიფარგლებიან. დეკლარაციები კი არაფერს ნიშნავს, როცა შენი პარტნიორი თუ სტრატეგიული პარტნიორი კონკრეტული მყარი მოქმედებებით არ ამყარებს მიღებულ დეკლარაციებს. ამგვარი განცხადებებით სურთ შეგვაგუონ ჩვენი ტერიტორიების შესაძლო ჩამოცილების პროცესს.

ჩემი აზრით, ზალბერი მარტო არ არის. როგორც ჩანს, გარკვეული ჯგუფები რუსეთიდან და ევროკავშირის წარმომადგენლები ცდილობენ, თავს მოგვახვიონ და შეგვაგუონ ჩვენი ძირძველი ტერიტორიების წართმევის პროცესს. ამაში, უპირველეს ყოვლისა, დამნაშავეა ჩვენი ხელისუფლება თავისი პასიურობის გამო.

***– ევროპა ჩვენ მხარეს არ არის?***

– ევროპა ჩვენ მხარესაა იმის მიხედვით, თუ როგორ ვინარჩუნებთ სუვერენიტეტს, რამდენად ვიცავთ მას, რამდენად ვართ აქტიური. თავგანწირვის მაგალითები უნდა იყოს.

***– ზალბერის წინამორბედის მსგავსი განცხადებაც ცნობილია, ოღონდ ის, მგონი, ფრანგი იყო ანუ მხოლოდ გერმანელებისა და ოსების ისტორიული ნათესაობა არ არის ერთადერთი არგუმენტი და ზალბერი არ არის გამონაკლისი.***

– ევროპაში მიმდინარე პროცესები და ევროპის სტრატეგიული რღვევა სახეზეა. ცნობილია, ინგლისმა რაც გააკეთა – ევროკავშირიდან გადის. ანალოგიური მოხდა ჰოლანდიაში, როდესაც კონსტიტუციასთან დაკავშირებით რეფერენდუმი ჩატარდა. ჰოლანდიაც, ფაქტობრივად, გასულია ევროკავშირის არეალიდან. ამიტომ ერთიანი სტრატეგიული ხედვა ევროპასა და მთელ სამყაროში ირღვევა. ეს პროცესები რუსებისთვის ხელისშემწყობია. იმავე ფრანგებსა და გერმანელებთან ცალ-ცალკე უნდა დაამყარო ურთიერთობები და კავკასიასა და საქართველოში მათი ინტერესები გაითვალისწინო.



***– ამ კუთხით კიდევ რა ფაქტორები მოქმედებს?***

– რამდენიმე ფაქტორია. ამერიკას განსხვავებული პოზიცია აქვს – ქვეყნები, რომლებიც შეუერთდებიან ე.წ. სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის აღიარების პროცესს, ამერიკის მხრიდან ისჯებიან, რაც მისასალმებელი და საიმედოა. თუმცა, ჩვენი მთავრობა ზედმეტად პასიურია. ზვიადის ქმედებები გავიხსენოთ ან თუნდაც შევარდნაძე, რომელმაც არძინბა თბილისში ჩამოიყვანა, მოლაპარაკებები იყო ჩიბიროვსა თუ სხვა პირებთანაც.

***– შედეგის თვალსაზრისით არაფერი მიგვიღია.***

– შედეგის თვალსაზრისით – კი, მაგრამ, როდესაც აქტიურობა არის, იქ შეიძლება, ისტორიამ ისეთი საჩუქარი გიბოძოს, რომელიც გამოსაყენებელია. თუ შენ არ შეესაბამები ამგვარ მონაცემებსა და მოთხოვნებს, ისტორიულ შანსს ვერ გამოიყენებ, რომელიც შეიძლება დადგეს კონკრეტულ ისტორიულ მონაკვეთში.

***– რატომ უნდა უჩლექდნენ ევროპელები რუსეთს ენას?***

– ობიექტური ფაქტორებია, ევროპა ვერ ჩამოყალიბდა ისე, როგორც ნაპოლეონის სქემასა და მოდელში იყო. ევროპა ნაწევრდება, ერთიანი მიდგომა არ არის. ევროპელ მოთამაშეებში ინტერესების დაბალანსება ვერ ხდება. ამერიკელებთანაც აირია ვითარება. სამხრეთ კავკასია და საქართველოც ურთულესი რეგიონია, მხოლოდ სუბიექტური ფაქტორი არ არის, კიდევ სხვა ფაქტორებზე ვართ დამოკიდებული, რაც კომპლექსში იძლევა იმ გაუსაძლის ვითარებას, რომელშიც ვიმყოფებით.

***– რამ შეიძლება შეაჩეროს ცხინვალის რეგიონისა და აფხაზეთის რუსეთთან ინტეგრაციის პროცესები?***

– რუსეთთან ჩვენი რეგიონების ინტეგრაციის პროცესის შეჩერება მხოლოდ ჩვენზე არ არის დამოკიდებული. ვითარება უნდა მოამწიფო. ეს ერთი კონკრეტული მთავრობის გადასაწყვეტი პრობლემა არ არის. მთავრობა ამ პრობლემას არ უნდა იხილავდეს მხოლოდ თავისი გადმოსახედიდან, მისი ქმედებები და ამ პრობლემების გადაწყვეტა ისტორიულმასშტაბიანი ამოცანებიდან უნდა გამომდინარეობდეს და არა – ხელისუფლების შენარჩუნებიდან.

გასათვალისწინებელია კონსტიტუციასთან დაკავშირებით წამოჭრილი თემები. განსაკუთრებით შემაშფოთებელია განცხადებები ორმაგი მოქალაქეობის შესახებ.

ორმაგი მოქალაქეობის მიღება, საერთოდ, ქართული ეთნოსის არსებობას საფრთხესა და პრობლემებს შეუქმნის. სალომე ზურაბიშვილი იმისთვის ჩამოიყვანეს, რომ ეს საკითხი გაეაქტიურებინათ და ორმაგი მოქალაქეობის საჭიროების თაობაზე განცხადებები გაეკეთებინა. ორმაგი მოქალაქეობა საქართველოში ანკლავების შექმნას გამოიწვევს. მეზობელი ქვეყნები დაინტერესებული არიან, თუნდაც აზერბაიჯანი ან სომხეთი მაქსიმალურად შეეცდებიან, თავიანთი ანკლავები დაამკვიდრონ და მომავალში შეიძლება შეგვიქმნან უზარმაზარი სიძნელეები. თუ „ოცნების“ ხელისუფლება ამ გადაწყვეტილებას მიიღებს, შედეგები შემდგომი ხელისუფლებების გამოსასწორებელი იქნება.

***– ანუ ქვეყანაში შიგნით პრობლემები სწრაფად უნდა დარეგულირდეს, რომ სეპარატისტული რეგიონების პრობლემების მოგვარებისთვის ყველამ მოიცალოს?***

– დიახ. მკაფიოდ უნდა იყოს ჩამოყალიბებული და პოზიციები შეჯერებული, რას ვთავაზობთ, აღნიშნული საკითხები უნდა იყოს განხილული კონსტიტუციურ ჭრილში. ზოგს ცხინვალის რეგიონისა და აფხაზების პრობლემები ერთმანეთისგან ვერ გაურჩევია.

***– ცხინვალთან დაკავშირებით ვისაუბროთ. კომუნისტებმა ოლქი შექმნეს. 1990 წელს ოსებმა ოლქი გააუქმეს, რესპუბლიკა შექმნეს და დამოუკიდებლობა გამოაცხადეს, უზენაესმა საბჭომ ოლქის გაუქმება ცნო, რესპუბლიკა უკანონოდ გამოაცხადა და გააუქმა. 1991 წელს ელცინმა ყაზბეგში დოკუმენტზე ხელმოწერით ერთგვარად აღიარა ოლქის გაუქმება, შემდეგ სააკაშვილმა პარლამენტის დადგენილებით კვლავ შექმნა ე.წ. სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაცია ანუ ჩვენ ახლა რა უნდა შევთავაზოთ, კონსტიტუციაში რა უნდა ჩავწეროთ?***

– კონსტიტუციაში უნდა ჩავწეროთ ის, რაც მთელმა სამყარომ აღიარა. საქართველო აღიარეს 31 მარტს ჩატარებული რეფერენდუმის საფუძველზე, სადაც დასმული იყო კითხვა, გვსურდა თუ არა საქართველოს დამოუკიდებლობა აღდგენილიყო 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე. საქართველო, როგორც სახელმწიფო, საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად კი არ ჩამოყალიბდა იურიდიულ სამართალსუბიექტად, არამედ დამოუკიდებლობა იქნა აღდგენილი 26 მაისის აქტის საფუძველზე, რომელიც 1921 წელს ბოლშევიკებმა დაამხეს. ჩვენ საბჭოთა კავშირის დემონტაჟით კი არ ვართ აღიარებული, არამედ – მემკვიდრეობითობის პრინციპიდან გამომდინარე. ეს აბსოლუტურად სხვადასხვა რამ არის, რაც ბალტიისპირეთმა და ჩვენ მოვახერხეთ. დანარჩენებს მსგავსი რამ არ გაუკეთებიათ.

ყველაფერი, რაც თქვენ ჩამოთვალეთ, საერთაშორისო საზოგადოებას უნდა გააცნო. მას განხილვა სჭირდება, უპირველესად – ჩვენთან. ამ პროცესში აუცილებელია ექსპერტების ჩართვა და სამართლიანი, ისტორიული, იურიდიული დოკუმენტების მსოფლიო საზოგადოებისთვის წარდგენა, რომლის თანახმადაც, ცხინვალის რეგიონის სტატუსიც განსაზღვრულია და აფხაზეთისაც, რაც გადახედვას არ ექვემდებარება. ჩვენი პოზიცია მკაფიო და უალტერნატივო უნდა იყოს. ამაზე მსჯელობა არ მიმდინარეობს. პირიქით, ხელისუფლება ყველანაირად ცდილობს ამ საკითხის იგნორირებას.

***– თქვენ განაცხადეთ, რომ ჩვენი კონფლიქტური რეგიონების სტატუსი, ფაქტობრივად, განსაზღვრულია, არსებული სტატუსი უნდა შენარჩუნდეს, ის არ ექვემდებარება განხილვას ანუ, ვთქვათ, აფხაზეთს აქვს ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი და ისე უნდა დარჩეს?***

– რა თქმა უნდა, ისე უნდა დარჩეს, როგორც გვაღიარა მსოფლიომ ანუ იმ საზღვრებში, რაშიც გვაღიარა მსოფლიომ რეფერენდუმის შედეგებზე დაყრდნობით, უნდა დარჩეს. აფხაზეთის მოსახლეობის 67%-მა ხმა მისცა საქართველოს დამოუკიდებლობას და მხარი დაუჭირა აფხაზეთის საქართველოს შემადგენლობაში ყოფნას. მისი გადახედვის უფლება არავის აქვს. „ქართული ოცნების“ დანაშაული ის არის, რომ მან არ მოახდინა მიხეილ სააკაშვილის დატოვებული მემკვიდრეობის დემონტაჟი.

***– კერძოდ?***

– ე.წ. სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაციის შექმნის დადგენილება უნდა გაეუქმებინა, უნდა მოეხდინა ცხინვალის რეგიონთან, კოდორის ხეობასა და აფხაზეთთან დაკავშირებული დანაშაულებრივი სამართლებრივი აქტების ლიკვიდაცია, საქართველოს სუვერენიტეტი უნდა დაებრუნებინა სამართლებრივ ჩარჩოში. ამას ხელისუფლება არ თუ ვერ აკეთებს, ამას დიდი მნიშვნელობა არ აქვს.

***– ანუ ქვეყნის სუვერენიტეტის სამართლებრივად მოწესრიგება უნდა მოხდეს?***

– უნდა მოხდეს სამართლებრივი მოწესრიგება და ლიკვიდაცია იმ დანაშაულებისა, რაც წინა ხელისუფლებებმა ჩაიდინეს. არცერთ პარლამენტს, არავის არც სამართლებრივი და არც პოლიტიკური პასუხისმგებლობა არ დაუყენებია. ეს იმას ნიშნავს, რომ ნაციონალებსა და „ოცნებას“ ამ საკითხში ერთი აზრი გააჩნიათ.

***– შეიძლება, თანხმობა არ არის, მაგრამ ამ საკითხებს არ ეხებიან, რადგან რთული გადასაჭრელია.***

– ხელისუფლებაში ყოფნა რთულია. ადვილი არაფერია.

# „საქართველოში სათამაშოების წარმოება მომგებიანი არ არის“

საქართველოში სათამაშოების წარმოება პოპულარული არ არის.

ასეთ განცხადებას აკეთებს „კომერსანტთან“ საუბრისას სათამაშოების მწარმოებელი კომპანიების ნაწილი. მათი შეფასებით, ქართულ ბაზარზე სათამაშოების ძირითადი ნაწილი იმპორტირებული და მავნეა. მათი მტკიცებით, ქვეყანაში ამ კუთხით არსებული მთავარი პრობლემა არა მხოლოდ სათამაშოების ხარისხი და მისი ფასთან შეუსაბამობაა, არამედ პრობლემას მათი უსაფრთხოების სტანდარტიც ქმნის.




გავრცელებული ინფორმაციით, ასეთი სათამაშოების დიდ ნაწილში ტყვიის შემცველობა დასაშვებ ნორმას აღემატება. ამ მხრივ კი, საქართველოში ძალიან სუსტი კონტროლის მექანიზმები არსებობს და მშობელმა თავად უნდა მოხერხოს სწორი არჩევანის გაკეთება.

ხის სათამაშოების მწარმოებელი კომპანია Geo Tous-ი ბაზარზე 2 წელია ოპერირებს. კომპანიის დამფუძნებელი პარტნიორი დავით კაციტაძე განმარტავს, რომ ქვეყანაში სათამაშოების წარმოების დაწყება მიმზიდველი არ არის. ამის მიზეზად კაციტაძე რამდენიმე ფაქტორს ასახელებს. პირველი – ადამიანური ფაქტორი, რაც ნიშნავს იმას, რომ ადამიანები სათამაშოების ბიზნესში ვერ ხედავენ პოტენციალს, გამომდინარე იქიდან, რომ ბაზარზე კონკურენცია საკმაოდ მაღალია.

კაციტაძის განმარტებით, დღეს აღნიშნული მიმართულებით საქმე გვაქვს არაჯანსაღ კონკურენციასთან.

– იმპორტით შემოდის იაფფასიანი, მავნე სათამაშოები, ესენი კი ისე იყიდება, როგორც უსაფრთხო სათამაშო, – აცხადებს კაციტაძე.

მეორე მიზეზი ბანკების მხრიდან გართულებული დაფინანსებაა. როგორც კაციტაძე განმარტავს, ქვეყანაში სათამაშოების წარმოების ბიზნესი ახალია, აქედან გამომდინარე, ბანკებისთვის ეს არის „სტარტაპი“ და კლიენტებისგან მაინც ითხოვენ თანადაფინანსებას, გარანტიას, რაც პრობლემას წარმოადგენს.

მისი განმარტებით, ხარისხიანი და უსაფრთხო სათამაშოს წარმოება საკმაოდ ძვირი ჯდება, რაც ერთ-ერთ სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს. კაციტაძის განცხადებით, ძვირია მასალები, რაც თვითღირებულების გაზრდის წინაპირობა ხდება. პარალელურად, ბაზარზე შემოდის იაფფასიანი და მავნე პროდუქცია.

– ის სათამაშო, რომელიც ნარჩენებისგან არის დამზადებული, გაცილებით იაფი ჯდება, ადგილობრივი წარმოება კი კონკურენციას ვერ უწევს, – აცხადებს კაციტაძე.

მისი განმარტებით, 2019 წლის ივნისიდან ამოქმედდება რეგულაციები, რომლებიც ევროპის კანონმდებლობასთან იქნება ჰარმონიზებული. კაციტაძის განმარტებით, სწორედ ეს დაარეგულირებს მავნე სათამაშოების იმპორტს, შესაბამისად, ბაზარი კონკურენტუნარიანი გახდება.

როგორც კაციტაძე აცხადებს, კარგი იქნება, თუ ამაღლდება მოსახლეობის ინფორმირებულობის დონე და მათ გარკვევით განემარტებათ, თუ რამდენად საშიშია და მავნეა იმპორტირებული, იაფფასიანი პროდუქცია. მისი განცხადებით, რითეილმა აუცილებლად უნდა გააკონტროლოს, რა სახის საქონელს იღებს ქსელში.

– ამის გაკონტროლება საკმაოდ ადვილია. სათამაშოს უნდა ეწეროს შემადგენლობა, აქედან გამომდინარე კი რითეილი ძალიან მარტივად გადაწყვეტს, რომელია მავნე და რომელი – არა. ეს კონკურენციას გააჯანსაღებს, – აცხადებს კაციტაძე.

გაუწევს თუ არა ქართული სათამაშო კონკურენციას იმპორტირებულს, კაციტაძე აცხადებს, რომ გაუწევს. ამის მაგალითად კი Geo Tous-ის სათამაშობი მოჰყავს.

– ჩვენ უკვე ვუწევთ კონკურენციას როგორც ხარისხით, ისე შემადგენლობით. ბაზარი რომ გამოთავისუფლდება, დიდი ნიშა დარჩება. ძალიან ბევრ კომპანიას ექნება საშუალება, რომ ეს ნიშა დაიკავონ. ბიზნესი უკვე დაინტერესდება სათამაშოების წარმოებაში ფულის ჩადებით, – აცხადებს კაციტაძე.

მისი განმარტებით, ასევე პრობლემატურია პროფესიონალი კადრის არსებობა. კაციტაძე აცხადებს, რომ რთულია სპეციალისტის მოძიება, თუმცა, განმარტავს, რომ ქვეყანაში ამისთვის ძალიან ბევრი პროგრამაა შექმნილი, მათ შორის სახელმწიფოსგან და დონორი ორგანიზაციებიდან მხარდაჭერილი.

ქვეყანაში, რომ სათამაშოების მასობრივი წარმოება არ ხდება, ამაზე საუბრობს 2015 წელს შექმნილი ბავშვებისა და დიდების საგანმანათლებლო თამაშების კომპანია „თამაშობანას“ ერთ-ერთი დამფუძნებელი ნინო ჩიქოვანიც.

მისი განმარტებით, „თამაშობანას“ ყველა პროდუქცია მათი დიზაინის მიხედვით იქმნება. ჩიქოვანის განცხადებით, ქართულ ბაზარზე ქართული სათამაშო წარმოდგენილი არ არის.

მისი თქმით, არის მცირე ტიპის, სახელოსნოს მასშტაბის საწარმოები, თუმცა, ქვეყანაში ქართული სათამაშოების მასობრივი წარმოება არ ხდება.

– ქვეყანაში ქართული სათამაშოების მწარმოებელი კომპანიები მასშტაბურად არ არიან წარმოდგენილები. ყოველწლიურად სათამაშოების იმპორტი 20%-ით იზრდება. რეალურად ბაზარი ასათვისებელია და ჩვენთან წარმოება არ ხდება, ეს ფაქტი ძალიან გულდასაწყვეტია. უცხოეთიდან შემოსული სათამაშოების კონტროლი უნდა მოხდეს და რეგულაციები შეიცვალოს. ასევე პროექტ „სტარტაპ საქართველოს“ ფარგლებში მცირე ბიზნესის მხარდაჭერა უნდა გაგრძელდეს, – აცხადებს ჩიქოვანი.

მისი განცხადებით, საზღვარგარეთ სათამაშოებზე მითითებულია ასაკობრივი შეზღუდვა. მაგალითად, კონკრეტული სათამაშოს გამოყენება შესაძლებელია იყოს 3 წლიდან ან 5 წლიდან ზემოთ.

– ეს ნაწილი ჩვენთან რეგულირებული არ არის, – აცხადებს ჩიქოვანი.

მისი განმარტებით, ბავშვები თამაშს არ არიან შეჩვეული. ამას კი ხელს უწყობს ეზოებში ბავშვებისთვის მორგებული ინფრასტრუქტურის არარსებობა. როგორც ჩიქოვანი აცხადებს, ბაზარი ნელ-ნელა ვითარდება და იმედოვნებს, რომ რამდენიმე წელში მშობელი თავად მივა იმ დასკვნამდე, რომ შვილს უხარისხო და იაფფასიანი სათამაშო არ უყიდოს და ამაში შედარებით ძვირის გადახდას ამჯობინებს.

რაც შეეხება იმას, რამდენად მომგებიანია ქვეყანაში სათამაშოების წარმოება და ღირს თუ არა ამ სფეროში ფულის ჩადება, ჩიქოვანი განმარტავს, რომ მომგებიანობა დამოკიდებულია ადეკვატურად დალაგებულ ბიზნესმოდელზე.




# მამუკა ხაზარაძე:
## „ვერ დავეთანხმები მოსაზრებას, რომ საქართველოში ფინანსებზე ხელმისაწვდომობა რთულია“

– ვერ დავეთანხმები მოსაზრებას, რომ ფინანსებზე ხელმისაწვდომობა საქართველოში რთულია, – განაცხადა ჟურნალისტებთან საუბრისას თიბისი ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე მამუკა ხაზარაძემ. მისი თქმით, საპროცენტო განაკვეთები კლების ტენდენციით ხასიათდება, დაფინანსების მოცულობა კი იზრდება.

– ჩვენ კიდევ წინ გვაქვს განვითარების დიდი პერიოდი. საბანკო სექტორი იზრდება, ამავე დროს ცნობადობა უნდა გაიზარდოს, ბევრი მოთამაშე უნდა შემოვიდეს, არა მარტო საფინანსო სექტორში, არამედ ზოგადად საინვესტიციო გარემოში.

ვერ დავეთანხმები, რომ ფინანსებზე ხელმისაწვდომობა საქართველოში რთულია, რადგან, თუ გადახედავთ სხვა ქვეყნებთან შედარებით საბანკო სექტორის გადაფარვას, საკმაოდ მაღალ მაჩვენებელზე ვართ ერთ სულ მოსახლეზე. საუბარია უფრო იაფ რესურსებზე. ეს ყველაფერი რისკებთანაა დაკავშირებული, ეს უცებ ვერ მოხდება, კლებაა სერიოზული საპროცენტო განაკვეთებზე, მოცულობაც გაზრდილია. ჩვენ ძალიან აქტიურად ვეხმარებით სტარტაპებსა და იმ ადამიანებს, რომლებიც ნულიდან ქმნიან ახალ საწარმოებს, – ამბობს ხაზარაძე.

bp

BP Exploration (Caspian Sea) LTD Georgia invites eligible companies to express their interest in providing Land Transport Management services for BP Georgia operations:

- Provision of professional drivers, trainings and competency assurance
- Provision rent services of vehicles for in city, long distance, off road transportation
- Provision of planning, scheduling, coordination and execution of maintenance and repair of vehicles in accordance with manufacturers' recommendations with up-to-date records held.
- Provision and Management of professional Transport Call Centre/ Journey Management for fleet coordination and on time vehicles dispatch
- Provide and administer vehicle assets: e g. comprehensive insurance coverage; registration, state technical inspection, fuel provision and card management, inventory, car wash, parking, traffic fines etc
- All vehicles which are owned, leased or contracted by BP shall be installed with an In Vehicle Monitoring System (IVMS)

Interested companies shall provide their Contact Details ; company name, address, telephone, e-mail and contact name to the following e-mail address: arveladm@bp.com or to the company office in Tbilisi at 24 Sulkhan Tsintsadze street for the attention of Maka Arveladze, PSCM Country Lead Georgia. Submission deadline 26th May 2017

ბი პი ექსპლორეიშნ (კასპიის ზღვა) საქართველო გეგმავს გამოაცხადოს ტენდერი საგზაო ტრანსპორტის მართვის მომსახურეობის გაწევაზე:

- პროფესიული მძღოლების მოწოდება, ტრეინინგებისა და კომპეტენციის შეფასების უზრუნველყოფა
- ავტოტრანსპორტით მომსახურება და/ან ქირავნობა ქალაქის მასშტაბით, დიდ მანძილებზე და უგზოობის პირობებში სამოძრაოდ
- ავტოტრასპორტის მოვლა/შეკეთების დაგეგმვა, კოორდინაცია, შესრულება და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოება მწარმოებელთა რეკომენდაციების შესაბამისად
- ტრანსპორტის ქოლ ცენტრის/მგზავრობის დაგეგმარების და კოორდინაციის, ტრანსპორტის დროული მიწოდების მენეჯმენტი
- სატრასპორტო საშუალებების შემდეგი პირობების უზრუნველყოფა: დაზღვევა, რეგისტრაცია, სახელმწიფო ტექნიკური დათვალიერება, საწვავის საბარათე სისტემის უზრუნველყოფა, ინვენტარი, მანქანის რეცხვა, პარკირება, მოძრაობის ჯარიმების გადახდა, და ა.შ.
- ბი პი-ს საკუთრებაში მყოფი, თუ დაქირავებული სატრანსპორტო საშუალებების აღჭურვა მანქანის შიდა მონიტორინგის სისტემით (IVMS)

**დაინტერესებულ კომპანიებს გთხოვთ მოგვაწოდოთ შემდეგი საკონტაქტო ინფორმაცია: კომპანიის სახელი, მისამართი, ტელეფონი, ელ. ფოსტა შემდეგ ელ ფოსტის მისამართზე:arveladm@bp.com ან კომპანიის ოფისის მისამართზე; თბილისი, სულხან ცინცაძის 24, კონტრაქტების განყოფილების უფროსის მაკა არველაძის სახელზე. მოწოდების ბოლო ვადაა 2017 წლის 26 მაისი.**

# სახელფასო უთანასწორობა
## თბილისსა და რეგიონებში საშუალო ანაზღაურებას შორის სხვაობა 655 ლარს შეადგენს

საქართველოს რეგიონებს შორის სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობა მკვეთრადაა გამოხატული. ამ მხრივ ქვეყანა დედაქალაქის „სასარგებლოდ“ ისევ „თავკომბალის“ პრინციპით ვითარდება. გარდა იმისა, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი თბილისშია კონცენტრირებული, უცხოური თუ ადგილობრივი ინვესტიციების დაახლოებით 70% დედაქალაქში იდება, უთანასწოროა ხელფასებიც. მაგალითად, საქართველოში რეგიონების მიხედვით ყველაზე მაღალ და ყველაზე დაბალ ხელფასს შორის სხვაობა 655 ლარს შეადგენს.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2016 წლის მეოთხე კვარტალში ბიზნესსექტორში დასაქმებულთა შრომის საშუალო თვიური ანაზღაურება საქართველოში 1.130 ლარი იყო.

საშუალო ხელფასის მოცულობა რეგიონებში მკვეთრად განსხვავდება. მათგან თბილისში საშუალო თვიური ანაზღაურება ყველაზე მაღალია – 1.248 ლარი. ასევე, მაღალია აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში – 1.077 ლარი, მცხეთა-მთიანეთში – 1.063 ლარი და ქვემო ქართლში – 942 ლარი.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, გასული წლის მაჩვენებლით, რეგიონების სამეული, სადაც საშუალო თვიური ანაზღაურება საკმოდ დაბალი იყო, ასე გამოიყურება: გურია – 667 ლარი, კახეთი – 708 ლარი და შიდა ქართლი 593 ლარი.

**საშუალო ხელფასი რეგიონების მიხედვით:**

თბილისი – 1.248, 6 ლარი
აჭარა – 1.077,1 ლარი
მხეთა-მთიანეთი – 1.063,7 ლარი
ქვემო ქართლი – 942 ლარი
სამეგრელო-ზემო სვანეთი – 872,4 ლარი
სამცხე-ჯავახეთი – 770 ლარი
იმერეთი – 726,7 ლარი
კახეთი – 708 ლარი
გურია – 667,7 ლარი
რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთი – 627,5 ლარი
შიდა ქართლი – 593, 9 ლარი




რაც შეეხება 2015 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, რეგიონების მიხედვით შრომის საშუალო თვიური ანაზღაურება ასეთი იყო: თბილისი – 1.006 ლარი; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა – 821 ლარი; გურია – 641 ლარი; იმერეთი – 604 ლარი; კახეთი – 521 ლარი; მცხეთა-მთიანეთი – 890 ლარი; რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი – 414 ლარი; სამეგრელო-ზემო სვანეთი – 644 ლარი; სამცხე-ჯავახეთი – 573 ლარი; ქვემო ქართლი – 779 ლარი და შიდა ქართლი – 511 ლარი.

# ნინო კუზანოვას კარლო კეკელიძის სიკვდილში ადანაშაულებენ — ნანა კეკელიძე მის დასჯას ითხოვს

## კლინიკა „ლანცეტის“ დირექტორს პატიმრობა შეეფარდა

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ბრალდებულის ადვოკატმა მიხეილ ოთარაშვილმა განუცხადა, ჯეირანლის ჩვენება ჯერჯერობით არ მიუცია, თუმცა აპირებს, რომ სასამართლოს მისცეს შესაბამისი განმარტებები.

ადვოკატის თქმით, „ლანცეტის“ დირექტორის მხრიდან თანხის მითვისების ფაქტს ადგილი არ ჰქონია.

— თანხა მას ხელში არ აუღია. ფული შესულია ოფიციალურად ბუღალტერიის მეშვეობით შემოსავლებში. შემომტანზე გაცემულია შესაბამისი ქვითარი, გადახდილია მოგების გადასახადი და კანონი როგორც მოითხოვს, თანხა ისეა ათვისებული კლინიკის მიერ. აქ არავითარ მითვისებას ადგილი არ ჰქონია, — განაცხადა მიხეილ ოთარაშვილმა.

რაც შეეხება ოპერაციის ჩამტარებელი მოწვეული ექიმის ლიცენზიას, ადვოკატი ადასტურებს, რომ მოწვეული ექიმის ლიცენზიას ვადა მართლაც გასული ჰქონდა, თუმცა, როგორც მიხეილ ოთარაშვილი აღნიშნავს, კლინიკის ხელმძღვანელობას ჯანდაცვის სამინისტროსთან ჰქონდა მიმოწერა, რომ გაეცათ დროებითი მიმართვა.

— ამ ექიმს რამდენიმე ოპერაცია უკვე ჰქონდა წარმატებით ჩატარებული. როდესაც საქართველოში ჩამოვიდა 2016 წლის თებერვალში, ერთი თვის გასული ჰქონდა ვადა ლიცენზიას. კლინიკამ დაიწყო მიმოწერა ჯანდაცვის სამინისტროსთან, რომ გაეცათ დროებითი ლიცენზია.

ამ დროს საავადმყოფოში შემოდის ორი მძიმე ავადმყოფი, რომლებიც გადაუდებელ ოპერაციას საჭიროებენ. სამინისტრომ მოწვეულ ექიმზე ლიცენზია ივლისში გასცა, მაგრამ ამ პერიოდში ოპერაცია უკვე ჩატარებული იყო და შედეგი დამდგარი, — განაცხადა ფარმან ჯეირანლის ადვოკატმა.

მისივე თქმით, ლიცენზიის გარეშე ოპერაციის ჩატარებაზე გადაწყვეტილება „ლანცეტის“ დირექტორს არ მიუღია.


ნინო კუზანოვა

— ოპერაციის ჩატარებაზე გადაწყვეტილებას დირექტორი ვერ მიიღებდა. ეს უნდა გადაეწყვიტა მთავარ ექიმს და მკურნალ ექიმს, — განაცხადა მიხეილ ოთარაშვილმა.

მთავარი პროკურატურა შპს „ლანცეტი“-ს დირექტორს პაციენტებისგან დიდი ოდენობით თანხის მოტყუებით დაუფლებას ედავება.

აღნიშნული პირის დაკავების საქმეზე პროკურატურაში განცხადება ცოტა ხნის წინ გაკეთდა. როგორც უწყებაში აღნიშნეს, საქართველოს პროკურატურამ სამედიცინო დაწესებულება შპს „ლანცეტი“-ს დირექტორი თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ გაცემული განჩინების საფუძველზე, პაციენტებისგან დიდი ოდენობით ფულადი თანხის მოტყუებით დაუფლებისა და სიცოცხლისთვის ან ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემქმნელი გარემოების შესახებ ინფორმაციის დამალვის ფაქტზე დააკავა დანაშაულისთვის, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის III ნაწილითა და ამავე კოდექსის 247-ე მუხლის I ნაწილით.

❖ ❖ ❖

კლინიკა „ლანცეტში“ ღვიძლის გადანერგვისას გარდაცვლილი კარლო კეკელიძის მეუღლე კლინიკის ყოფილი მთავარი ექიმის, ნინო კუზანოვას და კლინიკის იურისტის, გიორგი არჩვაძის დასჯას ითხოვს.

როგორც საზოგადოებრივს ნანა კეკელიძემ განუცხადა, კუზანოვა ოპერაციამდე მას და მის მეუღლეს დაჟინებით ჰპირდებოდა ოპერაციის წარმატებით ჩატარებას და არწმუნებდა, რომ ქირურგიულ ჩარევას გამოცდილი და ლიცენზირებული ექიმები განახორციელებდნენ.

— უნდა დაისაჯოს კუზანოვა. როგორ არ რცხვენია, როდესაც ამბობს, რომ მონაწილეობა არ მიუღია ამ დანაშაულში. მასთან ერთად უნდა დაისაჯოს კლინიკის იურისტი არჩვაძე, რომელიც ასევე დანაშაულის მონაწილეა, — განაცხადა ნანა კეკელიძემ.

ნანა კეკელიძის მეუღლე კარლო კეკელიძე გასული წლის მარტში, კლინიკა „ლანცეტში“ ღვიძლის ტრანსპლანტაციის შემდეგ გარდაიცვალა. ოჯახმა ოპერაციისთვის 99 ათასი ლარი გადაიხადა, მანამდე კი რამდენიმე ათასი ლარის გამოკვლევებს დასჭირდა.

მსგავს საქმეებთან დაკავშირებით მთავარმა პროკურატურამ „ლანცეტის“ დირექტორი ფარმან ჯეირანლი დააკავა.

❖ ❖ ❖

პროკურატურა კლინიკა „ლანცეტის“ საქმიანობის სრულად შესწავლას გეგმავს, — ამის შესახებ პროკურორმა კოკა კაციტაძემ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

როგორც კაციტაძემ აღნიშნა, კლინიკიდან ამოღებულია ყველა დოკუმენტაცია, რომელიც კლინიკის საქმიანობას ეხება.

რაც შეეხება დაკავებას, როგორც პროკურორმა აღნიშნა, ამ ეტაპზე ღვიძლის ტრანსპლანტაციის საქმეზე მხოლოდ კლინიკის ხელმძღვანელია დაკავებული, ვინაიდან კლინიკას ოპერაციისთვის ისეთი ექიმი ჰყავდა ჩამოყვანილი, რომელსაც შესაბამისი ლიცენზია არ გააჩნდა.

❖ ❖ ❖


ფარმან ჯეირანლი

კლინიკა „ლანცეტის“ დირექტორ ფარმან ჯეირანლის აღკვეთის ღონისძიების სახედ პატიმრობა შეეფარდა. გადაწყვეტილება თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე არსენ კალატოზიშვილმა მიიღო.

როგორც მოსამართლემ განმარტა, არსებობდა ბრალდებულის მხრიდან მიმალვის ან მოწმეებზე ზემოქმედების საშიშროება.

დაცვის მხარე პატიმრობის სანაცვლოდ გირაოს სახით 100 ათასი ლარის გადახდას მოითხოვდა, თუმცა მოსამართლემ დაცვის მხარის შუამდგომლობა არ გაითვალისწინა.

— ბრალდებულმა ისაუბრა ვიღაცების ინტერესებზე. მან აღნიშნა, რომ ეს მაფიაა და ყიდიან ავადმყოფებს. ამაში ჩემი დაცვის ქვეშ მყოფმა იგულისხმა ის, რომ როგორც, უკაცრავად და, საქონელს აგზავნიან, ისე იგზავნებიან კლიენტები და აქედან ვიღაცები მოგებას იღებენ. ანუ საქართველოში რომ არ გაკეთდეს ოპერაცია და წავიდნენ ავადმყოფები სხვა ქვეყნებში, არიან მიმღები პირები, ვინც ამ პაციენტების უცხოეთში გაგზავნისგან იღებენ პროცენტებს. მათ აქვთ დაინტერესება, საქართველოში არ არსებობდეს მაღალი დონის კლინიკა, — განაცხადა დაკავებულის ადვოკატმა გელა ნიკოლეიშვილმა.

კლინიკა „ლანცეტის“ დირექტორმა ფარმან ჯეირანლიმ გუშინდელ პროცესზე დაინტერესებულ პირებზე ისაუბრა და კონკრეტული გვარები დაასახელა. კერძოდ, ნინო კუზანოვა და დიმიტრი გაბუნია.

# კახეთში ორ პირს ჰომოფობიურ ნიადაგზე გაუსწორდნენ?




„რეგინფოს“ ინფორმაციით, კახეთში ლგბტ თემის ორი წარმომადგენელი ცემეს. ინციდენტი 17 მაისს, ღამით მოხდა. გამოცემის ინფორმაციით, ლგბტ თემის წევრები მეგობართან სტუმრად იმყოფებოდნენ. ისინი მასპინძლის თანასოფლელმა მამაკაცმა ე.წ. „მონტიროვკით“ ცემა.

— „რეგინფო“ ერთ-ერთი დაზარალებულის კომენტარსაც ავრცელებს: „რომ შემოვიდა ეზოში, ხელში რკინის ე.წ. მონტიროვკა ეჭირა. დაახლოებით 2 წუთის განმავლობაში რამდენჯერმე შემომხედა და მერე 3-4-ჯერ განზრახ ჩამარტყა თავში. გონება რომ დავკარგე, მერეც მირტყამდა თურმე. ჩემი მეორე მეგობარი მის შეკავებას ცდილობდა და მასაც მოხვდა, — ამბობს ლგბტ თემის წევრი.

„ნიუპოსტი“ შინაგან საქმეთა სამინისტროს დაუკავშირდა. უწყებაში აცხადებენ, რომ დაზარალებულები მომხდარს ჰომოფობიურ ნიადაგს არ უკავშირებენ.

შს სამინისტროში აღნიშნავენ, რომ გამოძიება სსკ-ის 126-ე მუხლით დაიწყო, თავდამსხმელს კი ბრალს უახლოეს დღეებში წარუდგენენ.

მღებრიშვილის უწყებაში „ნიუპოსტს“ განუცხადეს, რომ „ბრალდებული დანაშაულს აღიარებს, თუმცა გამორიცხავს, რომ მოქალაქეები ჰომოფიბიურ ნიადაგზე ცემა, დაზარალებულებსაც არ გამოუთქვამთ პრეტენზია, რომ მათ ჰომოფობიურ ნიადაგზე გაუსწორდნენ“.

# კანდელაკის ქუჩაზე ქვეითად მოსიარულე მამაკაცს ავტომობილი დაეჯახა

საბურთალოს რაიონში, კანდელაკის ქუჩაზე ქვეითად მოსიარულე მამაკაცს ავტომობილი დაეჯახა. დაშავებული საშუალო სიმძიმის ტრავმებით რესპუბლიკურ საავადმყოფოშია მოთავსებული. შემთხვევის ადგილი არ დაუტოვებია ავტომობილის მძღოლს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შს სამინისტროში განუცხადეს, საქმეზე გამოძიება 276-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს.

# ქართველ დეპუტატს არაბთა გაერთიანებული საემიროების სასამართლომ 15 წლით პატიმრობა მიუსაჯა

საქართველოს პარლამენტის წევრს „პატრიოტთა ალიანსიდან“ გელა მიქაძეს არაბთა გაერთიანებული საემიროების სასამართლომ 17,2 მილიონი აშშ დოლარის მითვისების ბრალდებით 15 წლით პატიმრობა დაუსწრებლად მიუსაჯა.

არაბთა გაერთიანებულ საემიროებში რას ალ ხაიმას სისხლის სამართლის სასამართლომ RAKIA-ს ყოფილ ხელმძღვანელს, ხატერ მასაადსა და RAKIA-ს ორ ყოფილ აღმასრულებელ პირს, გელა მიქაძესა და გიორგი ჯანაშიას დაუსწრებლად 15 წლით პატიმრობა მიუსაჯა ფულადი სახსრების მითვისებისთვის. აღნიშნულის შესახებ Gulf Business იუწყება.

პატიმრობის განაჩენთან ერთად, მასაადმა, ასევე გელა მიქაძემ და გიორგი ჯანაშიამ, რომლებიც RAKIA Georgia-ში მუშაობდნენ, ჯარიმის სახით 17,2 მილიონი აშშ დოლარი უნდა გადაიხადონ. სასამართლოს განაჩენის თანახმად, გელა მიქაძემ უნდა აანაზღაუროს 12,8 მილიონი აშშ დოლარი, ხოლო გიორგი ჯანაშიამ – 4,4 მილიონი აშშ დოლარი. ეს ის თანხაა, რომლის მითვისებაში მათ ბრალი ედებოდათ.

საქმე ეხება ფოთის საზღვაო პორტისა და ახლად შექმნილი კომპანიის, შპს Raystar Trade-ს შორის ერთობლივი საწარმოს შექმნის შესახებ შეთანხმების დადებას და შემდეგ მის გაუქმებას (2010-2011 წლები).

პროკურატურის განცხადებით, Raystar-ის ბენეფიციარები იყვნენ გელა მიქაძე და გიორგი ჯანაშია. ამ ფაქტის შესახებ მხოლოდ ხატერ მასაადმა იცოდა.

ვერდიქტში მოსამართლემ სამეჰ ჰამედ შაქერმა განაცხადა, რომ სამივე მსჯავრდებულმა განზრახ მიაყენა ზიანი Ras Al Khaimah Investment Authority-ის ფულად სახსრებსა და ინტერესებს.

„ინტერპრესნიუსი“ „პატრიოტთა ალიანსის“ წევრ ადა მარშანიას დაუკავშირდა, რომელმაც აღნიშნა, რომ გავრცელებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით არაფერი იცის.



# „ბექა შენგელია არაადეკვატური ადამიანია, რომელიც აზრს დღეში რამდენჯერმე იცვლის“




— ბექა შენგელია არის არაადეკვატური ადამიანი, რომელიც აზრს დღეში რამდენჯერმე იცვლის, აქედან გამომდინარე, რა ჩვენებას მისცემს, სანამ პროცესი არ დასრულდება, საუბარი ძნელია, — ამის შესახებ 76 წლის ლუბა ყოჩიაშვილის მკვლელობის საქმეში ბრალდებულ ბექა შენგელიას ადვოკატმა ლალი ბიწოშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა.

ადვოკატის თქმით, პროცესზე იგეგმება ბრალდებულ ბექა შენგელიას ჩვენების მიცემა, სადაც, სავარაუდოდ, შეცვლის ჩვენებას.

მისივე განმარტებით, ბრალდებულის მიერ ჩვენების შეცვლა განპირობებულია იმით, რომ საქმეში კიდევ ერთი არასრულწლოვან ბრალდებულს უკვე მიესაჯა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა.

— ჩემი დაცვის ქვეშ მყოფმა არაერთხელ მითხრა, რომ მან დაიბრალა ის ქმედება, რაც არ განუხორციელებია, რათა გადაერჩინა ერთ-ერთი ბრალდებული, თუმცა რადგან მას უკვე მიუსაჯეს, ბექა შენგელია, სავარაუდოდ, იტყვის დღევანდელ პროცესზე სიმართლეს, — განაცხადა ადვოკატმა.

თბილისის საქალაქო სასამართლოში 76 წლის ლუბა ყოჩიაშვილის მკვლელობის საქმეზე ბექა შენგელიას და ირმა ყოჩიაშვილის სასამართლო პროცესი მიმდინარეობს.

# თბილისის ზღვის მიმდებარედ მიწის ნაკვეთების თაღლითურად დაუფლების ფაქტზე სამი პირი დააკავეს

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა, ორგანიზებული ჯგუფის მიერ დიდი ოდენობით სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების თაღლითურად დაუფლების ფაქტზე, სამი მოქალაქე დააკავა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურიდან აცნობეს, საქმეზე ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ ორგანიზებული ჯგუფის წევრებმა, სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული დიდი ოდენობით მიწის ნაკვეთების თაღლითურად დაუფლების მიზნით, მათთან დანაშაულებრივ კავშირში მყოფი ათეულობით მოქალაქის სახელზე, 2014-2017 წლებში დაამზადეს მიწის ნაკვეთის ყალბი მიღება – ჩაბარების აქტები, რაც წარადგინეს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში და საკუთრებაში დაარეგისტრირეს თბილისში, გლდანის რაიონში, თბილისის ზღვის მიმდებარედ, ავშნიანის დასახლებაში მდებარე 3.694.840 ლარის ღირებულების 59.630 კვ.მ (5,9 ჰა) მიწის ნაკვეთი.

საგამოძიებო მოქმედებები გრძელდება დანაშაულში მონაწილე სხვა პირების დადგენა-მხილების მიზნით.

სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება საქართველოს სსკ-ის 180–ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ და მეოთხე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 7-დან 10 წლამდე ვადით.



# ისლამურმა სახელმწიფომ მანჩესტერში აფეთქება მოაწყო








**ევროპა ახალმა ტერაქტმა შეძრა. ამჯერად აფეთქება მანჩესტერში პოპულარული ამერიკელი მომღერლის არიანა გრანდეს კონცერტის დროს მოხდა, რომელიც „მანჩესტერ არენაზე“ გაიმართა. კონცერტს 20.000 მოქალაქე დაესწრო. აფეთქება 22 მაისს, ადგილობრივი დროით 22 საათსა და 35 წუთზე მოხდა. დაღუპულია 22 ადამიანი, 50 დაიჭრა.**

ბრიტანეთის პრემიერმა ტერეზა მეიმ განაცხადა, რომ, სავარაუდოდ, მოხდა ტერაქტი. ბრიტანეთის პოლიციის ვერსიით, დანაშაულის ხელწერიდან გამომდინარე, აფეთქების უკან ისლამისტი-ექსტრემისტები დგანან. როგორც ჩანს, აფეთქება განახორციელა ტერორისტმა შაჰიდმა, რომელიც კონცერტს ესწრებოდა.

კონცერტის დასასრულს არიანა გრანდემ უკანასკნელი სიმღერა იმღერა. გაისმა აპლოდისმენტები. შემდეგ ხალხი გასასვლელისკენ გაემართა. ამ დროს აფეთქების ხმა გაისმა.

ყველაფერი ისე იყო გათვლილი, რაც შეძლება მეტი ხალხი დაღუპულიყო.

ინგლისის პოლიციის ვერსიით, აფეთქება ფოიეში მოხდა. როგორც ჩანს, ტერორისტი სწორედ იქ იმყოფებოდა. აფეთქების შემდეგ დაიწყო პანიკა. პოლიცია შემთხვევის ადგილას ოპერატიულად მივიდა.

დაშავებულები გამოიყვანეს სასწრაფო დახმარების მანქანებით. მანჩესტერის პოლიციის უფროსმა ტელევიზიით ხალხს მოუწოდა, რომ „მანჩესტერ არენას“ არ მიახლოებოდნენ.

— ეს სიცოცხლისთვის საშიშია, — თქვა მან.

ასევე გაიყვანეს ხალხი ვიქტორიას ვაგზლიდან, რომელიც იქვე ახლოს მდებარეობს. არსებობდა საფუძვლიანი



შიში, რომ აფეთქება იქაც მოხდებოდა.

— მანჩესტერში საშინელი ტერაქტი მოხდა. ყველა, ვინც ეს ჩაიდინა, პასუხს აგებს!, — განაცხადა პრემიერმა ტერეზა მეიმ.

ამჟამად ინგლისში წინასაარჩევნო კომპანია მიმდინარეობს. ყველა ბრიტანულმა პარტიამ საარჩევნო კომპანია შეწყვიტა.

გუშინ დღის მეორე ნახევარში ცნობილი გახდა, რომ აფეთქებაზე პასუხისმგებლობა ისლამურმა სახელმწიფომ აიღო.

## აშშ-მ ერდოღანის დაცვის მოქმედება დაგმო

„ამერიკის ხმის“ თურქულმა რედაქციამ რეჯებ ერდოღანის ვაშინგტონში განხორციელებული ვიზიტისას მომხდარი ინციდენტის კადრები გაავრცელა.

როგორც ცნობილია, თურქულმა ოპოზიციამ ვაშინგტონში საპროტესტო აქცია მოაწყო. მანიფესტაცია თურქეთის ელჩის რეზიდენციისკენ დაიძრა. ამ დროს ერდოღანის დაცვა მანიფესტანტებს თავს დაესხა და ცემა დაუწყო.

ამერიკელმა პოლიციელებმა მოჩხუბრები გააშველეს.

სახელმწიფო დეპარტამენტმა ერდოღანის დაცვის მოქმედების გამო პროტესტი გამოთქვა. თავის მხრივ თურქეთი მიიჩნევს, რომ ამერიკის პოლიცია ერდოღანის დაცვის მიმართ არამართებულად მოიქცა.

თურქეთის ხელისუფლებამ ამის გამო ოფიციალური პროტესტი განაცხადა.



## ტრამპი ისრაელში ჩავიდა

აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი ისრაელში ჩავიდა. იერუსალიმში ის პრეზიდენტ რაბინს, აგრეთვე პრემიერ ნეტანიაჰუს შეხვდა. ტრამპი პირველი უცხოელი ლიდერია, რომელსაც იერუსალიმის სიწმინდეები დაათვალიერებინეს.

რაბინთან და ნეტანიაჰუსთან საუბარში ტრამპმა ისრაელს სრული მხარდაჭერა გამოუცხადა. მან ხაზი გაუსვა, რომ დაუშვებელია, ირანი ბირთვული იარაღის მფლობელი გახდეს.



## მაკრონი პუტინს უმასპინძლებს



მომავალ ორშაბათს ვლადიმერ პუტინი პარიზში ჩავა. საფრანგეთის პრეზიდენტი მაკრონი მას ვერსალში უმასპინძლებს. აქვე გაიმართება პეტრე პირველისადმი მიძღვნილი გამოფენაც.

რუსმა სენატორმა ალექსეი პუშკოვმა განაცხადა, რომ პუტინის პარიზული ვიზიტი დონბასის პრობლემის მოგვარებაში გარდამტეხი გახდება. პუშკოვმა აღნიშნა, რომ პუტინს საფრანგეთში მიაქვს რუსულ-ფრანგული კოორდინირებული მოქმედების სქემა, რომლის მიზანიც დონბასში მშვიდობის აღდგენაა.

თავად მაკრონმა კი ჟურნალისტებს უთხრა, რომ პუტინის დიქტატს არ დაემორჩილება. მან ხაზი გაუსვა, რომ ასეთი იყო მისი წინასაარჩევნო დაპირება.

— კრემლთან დიალოგი პოზიციების დათმობას სულაც არ ნიშნავს, — ამბობს საფრანგეთის პრეზიდენტი.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## ნიკი მინაჟი ინდურ სოფელს ფარულად ეხმარება

მომღერალი ნიკი მინაჟი ფარულად ეხმარება ინდურ სოფელს. ამის შესახებ სოციალურ ქსელ ინსტაგრამში მისი შეტყობინებიდან გახდა ცნობილი.

როგორც მომღერალმა განაცხადა, ასეთი საქციელი მას ყველაზე მეტად ეამაყება. დასახლებულ პუნქტს ინდოეთში მინაჟი ბოლო რამდენიმე წელია ეხმარება და მისი ფულით იქ მოხერხდა კომპიუტერული ცენტრისა და სამკერვალო ინსტიტუტის გახსნა. ასევე ამუშავდა კითხვის პროგრამა და ორი ჭაც გაკეთდა.

— ჩვენ სულ მცირე რაღაცებზე ვწუწუნებთ, მაშინ როდესაც, ზოგიერთ ადამიანს სუფთა წყალიც კი არ გააჩნია, — აღნიშნა მინაჟმა და იქვე დასძინა, რომ ჯერ კიდევ ბევრი რამაა გასაკეთებელი.

სხვა შეტყობინებაში მომღერალი ამბობს, რომ „ჩვენს დებს ინდოეთში“ სურთ, რომ მათ ჰქონდეთ წყლის ჭები, ასევე ადგილი, სადაც შეძლებენ ილოცონ, ასევე ადგილი, სადაც შეისწავლიან ტექნოლოგიებს, კომპიუტერს და კითხვით დაკავდებიან.

მინაჟმა ინდური სოფლის სახელი არ გაამხილა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**





## განცხადებები

### გთავაზობთ სამსახურს

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

● რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

### მკურნალობა

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) — სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეულ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით.აჩქარებს ოპერაციის შემდგომ ჭრილობების შეხორცებას. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 568-90-78-09; 295-40-58 ჯემალი..

● ალკოჰოლიზმი, „პახმელია“, „ზაპოი“, ალკოჰოლიზმისაგან გამოწვეული ნევროზი, უძილობა, აგრესიულობა, ღვიძლის პრობლემების მოწესრიგება — მცენარეული, შედეგიანი, მეტეხისა და ბეთლემის ტაძარში ნაკურთხი პრეპარატებით. პრეპარატები შეგიძლიათ შეურიოთ ფარულად საკვებში.სიგარეტის მიტოვება მცენარეული, უსაფრთხო გარანტირებული პრეპარატით. უკუჩვენება გამორიცხულია. ტელ: 599-45-88-66; 555-45-13-45.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემები — გასტრიტი, კუჭის წვენის დაბალი და მაღალი მჟავიანობა, კუჭშეკრულობა, კუჭაშლილობა და ა.შ. ნერვული სისტემის, სახსრების, პოტენციის და კანის სხვადასხვა პრობლემების მოწესრიგება. ბეთლემისა და მეტეხის ტაძარში ნაკურთხი პრეპარატებით. პრეპარატები უსაფრთხოა. ტელ:558-34-36-24.

● სტომატოლოგიური მომსახურეობა ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 130 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

● კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა — შედეგები 100%-იანია. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით — იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) — მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან — შედეგები 100%-იანი. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომპანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

# ბაიერნის ცხელი ზაფხული



გერმანული გამოცემები საკმაოდ საინტერესო ვერსიას ავრცელებენ, რომელიც ზაფხულის სატრანსფერო ფანჯარას ეხება. როგორც ირკვევა, მიმდინარე წელს ბაიერნი საკმაოდ ბევრ მოთამაშეს შეიცვლის. რეკორდმაისტერი მზად არის მიიღოს სხვადასხვა შემოთავაზებები დუგლას კოშტასა და რენატო სანჩესის თაობაზე.

მიუნხენელებმა ბუნდესლიგის 2016-17 წლების სეზონის ბოლო მატჩში ფეხბურთიდან ფილიპ ლამი და ჩაბი ალონსო გააცილეს. ეს კი იმაზე მიგვითითებს, რომ კლუბში ძალიან ბევრი ცვლილებაა მოსალოდნელი. უკვე გავიგეთ იმის შესახებ, რომ ბაიერნმა დაიწყო მოლაპარაკებები შალკეს ლეონ გორეცკასა და არსენალის ალექსის სანჩესთან, რომელთა ბავარიულ კლუბში თამაში სულაც არ იქნება დიდი მოულოდნელობა.

შესაბამისად ბავარიის ხელმძღვანელობას უპრეცედენტო თანხის გადახდა მოუწევს საკუთარი შემადგენლობის გაძლიერებისათვის, ეს გარემოება კი თავის მხრივ რამდენიმე ფეხბურთელის გაყიდვასაც გულისხმობს.

კლუბიდან წასვლის ერთ-ერთი მთავარი კანდიდატია დუგლას კოშტა, რომელიც მისი ამჟამინდელი მდგომარეობით ძალიან უკმაყოფილოა და ამ ვითარებას ხაზი არაერთხელ გაუსვა ჟურნალისტებთან საუბრის დროს.

უფრო მეტიც, თუ ლონდონის არსენალის ჩილელი ვინგერი ბავარიულ კლუბთან მიაღწევს შეთანხმებას, დუგლასი კლუბს აუცილებლად დატოვებს.

მეორე ვარიანტი კი რენატო სანჩესის სხვა კლუბში გაშვებაა, რომელსაც კარლო ანჩელოტი არცთუ ისე დიდ დროს აძლევს სათამაშოდ, ამას უნდა დავუმატოთ ის გარემოებაც, რომ ბაიერნში ნახევარცველები ძალიან მომრავლდნენ, ხავი მარტინესი, არტურო ვიდალი, ტიაგო ალკანტარა, სებასტიან რუდი და ჯოშუა კიმიხი ეს იმ ფეხბურთელთა ჩამონათვალია, რომლებიც სერიოზულ პრეტენზიას აცხადებენ ძირითად შემადგენლობაში საკუთარი ადგილის დამკვიდრების თაობაზე.

ამასთან, ნუ დაგვავიწყდება ისიც, რომ მიუნხენული კლუბის მესვეურები ძალიან ახლოს არიან შალკეს ახალგაზრდა ცენტრალური ნახევარმცველის ლეონ გორეცკას გაფორმებასთან.

ასე რომ, ალიანს არენაზე ძალიან დიდი ცვლილებებია მოსალოდნელი, ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია, რომ დაველოდოთ მოვლენათა განვითარებას.

# ფაჩულია ისტორიაში შევიდა — ქართველმა კონფერენციის ფინალი მოიგო



საქართველოს ნაკრების კაპიტანი ამერიკის ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის ფინალშია. ზაზა ფაჩულიას გოლდენ სტეიტმა ნბა-ს დასავლეთ კონფერენციის ფინალური სერიის მე-4 მატჩიც მოუგო სან ანტონიოს და სუპერფინალში გავიდა, სადაც ჩემპიონობისთვის კლივლენდსა და ბოსტონს შორის გამარჯვებულს შეხვდება. ჯერჯერობით კლივლენდი სერიას 2:1 უგებს მეტოქეს.

სანამ აღმოსავლეთ კონფერენციის ფინალური სერია მორჩება, ფაჩულიაც მოირჩენს გასული სერიის მეორე მატჩში ნატკენ ქუსლს, რამაც ქართველ ცენტრს ბოლო 2 მატჩი გამოატოვებინა. ზაზას არ უთამაშია არც ბოლო მატჩში, რომელიც მისმა გუნდმა სან ანტონიოში 129:115 მოიგო და ნბა-ს ისტორიაში პირველი გუნდი გახდა, რომელმაც პლეი ოფის საწყისი 12 მატჩი წაუგებლად ჩაატარა.

მართალია, ოკლენდელთა ამ რეკორდის განხორციელებას ხელი სანანტონიოელთა ტრავმიანობამაც შეუწყო, თუმცა ეს ფაჩულიას გუნდის ისტორიულ წარმატებას არ აუფერულებს. სფურსს ისევ აკლდა სერიის პირველ მატჩში ფაჩულიასთან სათამაშო სიტუაციაში დაშავებული კავაი ლეონარდი, რასაც ტეხასელთა ფანებში ისტერია, ამერიკულ მედიაში კი სერიალებივით პუბლიკაციები მოჰყვა. სერიალი ამბავში სანანტონიოელთა გურუს, გრეგ პოპოვიჩის უტაქტოდ ჩართვით გაგრძელდა, რითაც სფურსის ფანები კიდევ უფრო გაავდნენ და შედეგად ფაჩულიას შვილების — დათას და საბას სკოლაში უსაფრთხოების ზომები გააძლიერეს.

ისე გამოვიდა, რომ პოპოვიჩის მეთაურობით სან ანტონიოელთა ფანები მარცხს ქართველ ცენტრს აბრალებენ, არადა თავად კავაი ლეონარდმა, ზაზას შემდეგ ჭეშმარიტების ყველაზე კარგად მცოდნემ, განაცხადა, ეს იყო სათამაშო ეპიზოდი და ფაჩულიას ჩემს წინააღმდეგ განზრახ არაფერი გაუკეთებიაო.

გოლდენ სტეიტს ახლა გვარიანი დასვენება მოუწევს, სანამ საჩემპიონო სერია დაიწყება. როგორც გითხარით, კლივლენდსა და ბოსტონს შორის ანგარიში 2:1-ია და სერიაში მინიმუმ კიდევ 2 შეხვედრა გაიმართება. ვიმედოვნებთ, რომ საჩემპიონო სერიას ზაზა ფაჩულია მწყობრში შეხვდება და მონაწილეობას მიიღებს პლანეტის ერთ-ერთი უმაღლესი საკალათბურთო ტიტულის გათამაშებასა და იმედს ვიტოვებთ, მოგებაშიც.

# უეფა ევროპა ლიგისთვის უსაფრთხოებას აძლიერებს

მანჩესტერ იუნაიტედმა და უეფამ ერთობლივი შეხვედრა გამართეს, რომელზეც კლუბმა ევროპული ფეხბურთის გაერთიანებულ ასოციაციას სთხოვა, რომ ევროპა ლიგის ფინალში ფეხბურთელები შავი სამკლაურით გავიდნენ, რითაც მანჩესტერში მომხდარი ტერაქტის მსხვერპლებისთვის პატივის მიგება სურთ.

უეფა ასევე იტყობინება, რომ მანჩესტერში მომხდარ მოვლენებს არავითარი კავშირი არ აქვს ტურნირის ფინალთან და შვედეთში უსაფრთხოების ზომები ჯერ კიდევ აპრილის ტერაქტის შემდეგ გააძლიერეს.

გულშემატკივრებს სთხოვენ, გაგებით მოეკიდონ დამატებით შემოწმებებს, რომლებიც მატჩის დაწყებამდე ჩატარდება.

ევროპული ფეხბურთის ასოციაციაში ასევე განაცხადეს, რომ სპეცსამსახურებს არ აქვთ ინფორმაცია ევროპა ლიგის ფინალში ტერორისტული საფრთხის შესახებ.

# გრიზმანი და ნაინგოლანი მანჩესტერელთა სამიზნე არიან



მადრიდის ატლეტიკოს თავდამსხმელმა, ანტუან გრიზმანმა განაცხადა, რომ მანჩესტერ იუნაიტედში მისი გადასვლის შანსი უფრო მეტია, ვიდრე არ გადასვლის.

უკვე რამდენიმე თვეა აქტიურად ირხევა ხმები იმის შესახებ, რომ „წითელ ეშმაკებს“ 26 წლის ფორვარდის შეძენა სურთ და არსებობს მოსაზრება, რომ ანტუანი ელოდება ევროპა ლიგის ფინალის შედეგს, რომელმაც უნდა გაარკვიოს, ითამაშებს თუ არა მანჩესტერ იუნაიტედი მომდევნო სეზონში ჩემპიონთა ლიგაზე.

ასეა თუ ისე, თავად გრიზმანმა არ გამორიცხა „ოლდ ტრაფორდზე“ თავისი გადასვლა. ერთ-ერთ სატელევიზიო გადაცემაში მან თავისი ტრანსფერი 10-ბალიანი სისტემით 6 ქულით შეაფასა და დაამატა — უახლოეს რამდენიმე კვირაში უფრო მეტი მეცოდინება.

მანჩესტერელები ასევე ბელგიის ნაკრებისა და რომას ნახევარმცველის, რაჯა ნაინგონალისთვის ბრძოლაში ჩაერთნენ.

ბრიტანული მედია იტყობინება, რომ იუნაიტედი ჩელსის 29-წლის ფეხბურთელისთვის ბრძოლაში კონკურენციას გაუწევს.

ერთია, იუნაიტედი ჯერ მხოლოდ ინტერესს იჩენს და არავითარი შეთანხმება არ აქვს ფეხბურთელთან.

გასულ წელს ჩელსიმ რამდენჯერმე სცადა „სტემფორდ ბრიჯზე“ ნაინგოლანის გადაბირება და ბოლო შეთავაზება 34 მილიონ გირვანქა სტერლინგს უდრიდა.

ეს ამბავი ანტონიო კონტემ და რაჯამაც დაადასტურეს. კონტემ საჯაროდ განაცხადა, რომ ფეხბურთელს მართლაც ესაუბრა ტრანსფერის თაობაზე, რაჯამ კი განაცხადა, რომ ჩელსი მისით მართლაც იყო დაინტერესებული. თუმცა, ბელგიელი რომაში დარჩა, სადაც 2014 წლიდან თამაშობს.

# დინამო ფინალში დაწინაურდა, სუპერლიგიდან დაქვეითებულს ბოლო ტური გაარკვევს



### დინამო-ქუთაისი 81:74
(23:23, 16:14, 22:19, 20:18)

სუპერლიგის ფინალური სერია საკმაოდ საინტერესო და დაძაბული მატჩით დაიწყო. რეგულარული ჩემპიონატის მომგებმა დინამომ გასული წლის ჩემპიონი ქუთაისი მეორე ტაიმში გატეხა, თუმცა საბოლოო გამარჯვების მოსაპოვებლად ბოლო წამებამდე ბრძოლა მოუხდა და საწადელს მაინც მიაღწია — 81:74.

მატჩს ესწრებოდა საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი ილიას ზუროსი, რომელიც საქართველოში სპეციალურად ნაკრების კანდიდატებზე დასაკვირვებლად ჩამოვიდა.

შეხვედრა ორმხრივი შეტევებით დაიწყო, თუმცა ორივე გუნდი დაცვაზე უფრო იყო ორიენტირებული და, შესაბამისად, მოთამაშეები შეცდომებსაც ხშირად უშვებდნენ. თავდაპირველად ქუთაისელებმა მოახერხეს მცირედით დაწინაურება, თუმცა დინამოელებმა სტუმართა თამაშს მალევე დაუპირისპირეს სწორი ტაქტიკა და პირველი პერიოდის ბოლო ანგარიში გაათანაბრეს — 23:23.

მეორე მეოთხედში იგივე განმეორდა. იმერული კლუბი მცირედით წინ გაიჭრა, რაც ძირითადად გიორგი ცინცაძის გამოზომილი პასებისა და სერბი ლეგიონერის დრაგან ტუბაკის ფარქვეშა აქტიურობით იყო განპირობებული. დინამოელებმა ტაიმის მიწურულს მოახერხეს დაცვის ხარჯზე ქუთისელთა შეჩერება და პერიოდის ბოლოს ლევან ფაცაციას და ილია ლონდარიძის გამოჩენილი შედეგიანობით დიდ შესვენებაზე 2-ქულიანი უპირატესობით გავიდნენ.

მესამე პერიოდი თანაბარი გამოდგა, თუმცა მასპინძლებმა მცირე უპირატესობის 5 ქულამდე გაზრდა მოახერხეს და ბოლო პერიოდში მეტოქეს 10 ქულითაც გაექცნენ. ქუთაისელებმა საქმის გამოსწორება შორი სროლებით განიზრახეს და აკაკი ლომოურმა 2 სამქულიანი ჩააგდო კიდეც, თუმცა დინამომ არ დათმო და გუნდური თამაშის წყალობით გიორგი ცინცაძის 2 სამქულიანს ეფექტი დაუკარგა და სასურველ შედეგამდე მივიდა.

გამარჯვებულებს 23 ქულითა და 6 მოხსნით ლევან ფაცაციამ ულიდერა. 16 ქულა მიითვალა ილია ლონდარიძემ, მიხეილ ბერიშვილის ანგარიშზე კი 12 ქულა და 9 მოხსნა დაგროვდა.

ქუთაისში 17 ქულით, 9 პასით და 7 მოხსნით ყველაზე შედეგიანი იყო გიორგი ცინცაძე, 16 ქულა დააგროვა ბექა ბექაურმა, ხოლო დრაგან ტუბაკის ანგარიშზე 11 ქულა და 8 მოხსნა დაგროვდა.

### ოლიმპი-ბათუმი 95:76
(17:33, 21:17, 24:18, 33:8)

მეორე მატჩში ოლიმპმა ბათუმს უმასპინძლა და მე-8 წუთისთვის 17 ქულით — 10:27 აგებდა, მაგრამ თბილისელებმა ჯერ ჩამორჩენა შეამცირეს, ხოლო დასკვნით პერიოდში გამოჩენილი დიდი შედეგიანობით ჰაერივით საჭირო გამარჯვებაც გაიფორმეს. დასკვნითი ათწუთეულის წინ ოლიმპი 5 ქულით ჩამორჩებოდა, მაგრამ ბოლო მეოთხედი 33:8 მოიგო და სათავისო ანგარიში (95:76) დააფიქსირა.

ოლიმპელებს 24 ქულით გეგი ბაქრაძემ ულიდერა. 20 ქულა და 15 მოხსნა მიითვალა ტრე ბურნეთმა, ხოლო რევაზ როგავას ანგარიშზე 18 ქულა დაგროვდა. აღსანიშნავია ირაკლი მიქელაძის 11 შედეგიანი გადაცემა, რასაც ოლიმპელთა გამთამაშებელმა 7 ქულა მოაყოლა.

ბათუმში 22 ქულით საუკეთესო იყო ილია შემოსიუკი, კახა ჯინჭარაძის ანგარიშზე კი 17 ქულა დაგროვდა.

### მგზავრები-სოხუმი 102:87
(28:28, 19:24, 33:13, 22:22)

სოხუმელებს სუპერლიგაში დარჩენა გარანტირებული აქვთ და მათთვის მგზავრებთან მატჩს პრინციპული მნიშვნელობა არ ჰქონდა. ამასთან, სოხუმმა მთავარი მწვრთნელის, ვიტალი ჩერნის გარეშე ითამაშა და პირველი ტაიმის შემდეგ იგებდა კიდეც, მაგრამ მეორეში მგზავრების მოთამაშეებმა იძალეს, ბოლოსწინა პერიოდი 33:13 მოიგეს და მატჩის ბედიც სათავისოდ გადაწყვიტეს — 102:87.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1.სოხუმი | 33 | 13 | 202654-2791 | 46 |
| 2.ოლიმპი | 32 | 13 | 192345-2385 | 44 |
| 3.მგზავრები | 32 | 12 | 202411-2526 | 44 |
| 4.ბათუმი | 33 | 11 | 222564-2671 | 44 |

**შენიშვნა:** ოლიმპს დაკლებული აქვს 1 ქულა

# კოუტინიუ ლივერპულიდან არ მიდის



ლივერპულის ბრაზილიელმა ნახევარმცველმა ფელიპე კოუტინიომ უარყო ესპანური ჟურნალისტების მიერ გავრცელებული ჭორები იმის შესახებ, რომ ამ ზაფხულში ბარსელონაში აპირებს გადაბარგებას.

— ლივერპულთან დიდხნიანი კონტრაქტი მაკავშირებს. სპეკულაციები მხოლოდ ჟურნალისტებისგანაა. მე კარგად დავიწყე, მაგრამ შემდგომ ჩემი თამაშის რეგრესი მოხდა, თუმცა შემდგომ ეტაპობრივად დავბრუნდი და სეზონიც მაღალ დონეზე დავასრულე. მთელი გუნდი კარგად გამოიყურებოდა, მიდლსბროსთან გამარჯვება იყო უმნიშვნელოვანესი, რადგან შემდეგი სეზონიდან ჩემპიონთა ლიგაზე ვიქნებით.

აქვე გეტყვით, რომ ესპანური პრესა ხშირად ავრცელებს მსგავსი ტიპის ჭორებს კლუბებთან შეთანხმებით იმისათვის, რომ ფეხბურთელის გუნდის ფანები ფეხბურთელის მიმართ ნეგატიურად განაწყოს, რაც ფეხბურთელის გადაწყვეტილებაზე გავლენას იქონიებს.

ლივერპულმა კვირას ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვება შეძლო, მერსისაიდელთა მთავარმა მწვრთნელმა იურგენ კლოპმა გულშემატკივრები კიდევ უფრო გაახარა თავისი კომენტარით, სადაც მიანიშნა იმაზე, რომ კლუბი ტრანსფერებს ძალიან მალე განახორციელებს.

**იურგენ კლოპი:**

— ჩვენ სამუშაოს უმეტესი ნაწილი უკვე შესრულებული გვაქვს. შემდეგი რამდენიმე კვირის განმავლობაში ვარჯიშები არ გვაქვს. ახლა ავსტრალიაში მივფრინავთ, შემდეგ ისევ უკან დავბრუნდებით და შესვენებაც დაიწყება. ცოტათი მეტი მექნება სამუშაო, თუმცა ეს არაფერია, მხოლოდ რამდენიმე სატელეფონო ზარი, საუბარი კარგ საკითხებზე, როგორიცაა ფეხბურთი, ლივერპული და სხვა. ეს ყველაფერი ძალიან კარგია.

შეგახსენებთ, რომ ლივერპულმა მე-4 ადგილზე გასვლით ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე თამაშის უფლება მოიპოვა, სადაც განთესილთა კალათაში მოხვდა და მომავალ მეტოქედ შედარებით იოლი გუნდი ეყოლება. აღნიშნული მოვლენა კი მერსისაიდულ კლუბს დაეხმარება სერიოზული ტრანსფერების განხორციელებაში. ამასთან, როგორც ვიცით, კლუბის მფლობელები კლოპს კლუბის ისტორიაში ყველაზე დიდი თანხის გამოყოფას უპირებენ ტრანსფერებისთვის.

რაც შეეხება კონკრეტულ სახეებს, სულ ცოტა ხნის წინ გავრცელდა დანიელ სტარიჯის ინტერვიუ, სადაც მან აღნიშნა, რომ იგი გუნდის დატოვებას ნამდვილად არ აპირებს.

# შედეგები

### 22 მაისი
### ფეხბურთი

**იტალია. სერია ა**

პესკარა-პალერმო ........................ 2:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 37 | 28 | 4 | 5 | 75-26 | 88 |
| 2.რომა | 37 | 27 | 3 | 7 | 87-36 | 84 |
| 3.ნაპოლი | 37 | 25 | 8 | 4 | 90-37 | 83 |
| 4.ლაციო | 37 | 21 | 7 | 9 | 73-48 | 70 |
| 5.ატალანტა | 37 | 20 | 9 | 8 | 61-41 | 69 |
| 6.მილანი | 37 | 18 | 9 | 10 | 56-43 | 63 |
| 7.ინტერი | 37 | 18 | 5 | 14 | 67-47 | 59 |
| 8.ფიორენტინა | 37 | 16 | 11 | 10 | 61-55 | 59 |
| 9.ტორინო | 37 | 12 | 14 | 11 | 66-63 | 50 |
| 10.სამპდორია | 37 | 12 | 12 | 13 | 47-51 | 48 |
| 11.სასუოლო | 37 | 13 | 7 | 17 | 55-58 | 46 |
| 12.უდინეზე | 37 | 12 | 9 | 16 | 45-51 | 45 |
| 13.კალიარი | 37 | 13 | 5 | 19 | 53-75 | 44 |
| 14.კიევო | 37 | 12 | 7 | 18 | 43-60 | 43 |
| 15.ბოლონია | 37 | 11 | 8 | 18 | 39-56 | 41 |
| 16.ჯენოა | 37 | 9 | 9 | 19 | 36-61 | 36 |
| 17.ემპოლი | 37 | 8 | 8 | 21 | 28-59 | 32 |
| 18.კროტონე | 37 | 8 | 7 | 22 | 31-57 | 31 |
| 19.პალერმო | 37 | 5 | 8 | 24 | 31-76 | 23 |
| 20.პესკარა | 37 | 3 | 8 | 26 | 35-79 | 17 |

**იტალია. სერია ბ**

**პლეი ოფი**

ჩიტადელა-კარპი ........................ 1:2

**თურქეთი. სუპერლიგა**

აკჰისარი-ალანია ........................ 3:0

გენჩლერი-ფენერბახჩე .................. 1:2

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

**პლეი ოფი**

ტერმალიცა-კორონა ..................... 0:2

**დანია. სუპერლიგა**

**პლეი ოფი**

ვიბორგი-ორხუსი ........................ 2:2

**შვედეთი. ალსვენსკა**

დიურგარდენი-აიკი ...................... 0:1

ელფსბორგი-იონჩოპინგი ............... 3:0

სუნდსვალდი-გიოტებორგი ............ 0:4

**ნორვეგია. ელიტსერია**

სტაბეკი-ვიკინგი ........................ 1:1

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა





# რა არის ოპტიკურ-კოჰერენტული ტომოგრაფია

ეკა ირემაშვილი



იმისთვის, რომ მხედველობასთან დაკავშირებულმა პრობლემებმა დიდხანს არ შეგვაწუხოს, საჭიროა დროული ვიზიტი ოფთალმოლოგთან. თანამედროვე ტექნოლოგიები ნამდვილად იძლევა იმის საშუალებას, რომ ესა თუ ის დაავადებები ადრეულ ეტაპზე გამოვლინდეს და ადამიანებმა მათი შემდგომი გართულებებისგან თავი დაიცვან.

კლინიკა „მზერის" ექიმი-ოფთალმოლოგი მზია ფირცხალაიშვილი მაღალტექნოლოგიური, თანამედროვე კვლევის მეთოდების შესახებ საუბრობს, რომლის მეშვეობითაც ხდება დაავადებების დროული დიაგნოსტიკა და მკურნალობის ეფექტური მართვა.

რა არის ოპტიკურ-კოჰერენტული ტომოგრაფია, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია გაკეთდეს თვალის ფსკერის შრეობრივი ანალიზი 3დე განზომილებაში? – ამ თემაზე ჩიჩუების სამედიცინო ცენტრ „მზერის" ექიმი-ოფთალმოლოგი მზია ფირცხალაიშვილი საუბრობს.

**მზია ფირცხალაიშვილი:**

– ნებისმიერი დაავადების დროულ დიაგნოსტიკას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება პათოლოგიის მართვაში. ჩვენი ცენტრი ატარებს მაღალტექნოლოგიურ თანამედროვე კვლევის მეთოდებს, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია სწორი დიაგნოზის დროულად დასმა და დაავადების ეფექტური მართვა.

***– რა არის ოპტიკურ-კოჰერენტული ტომოგრაფია?***

– ოპტიკურ-კოჰერენტული ტომოგრაფიის საშუალებით შესაძლებელია მოვიპოვოთ უნიკალური ინფორმაცია თვალის სხვადასხვა სტრუქტურის ანატომიური აგებულების შესახებ მიკროსკოპულ დონეზე.

მისი საშუალებით შესაძლებელია ნერვული ბოჭკოებისა და ბადურის მორფოლოგიური ცვლილებების შეფასება, მხედველობის ნერვის დვრილის პარამეტრებისა და თვალის წინა სეგმენტის მდგომარეობის შესწავლა.

***– რა მეთოდით ხდება კვლევა?***

– მეთოდი უკონტაქტოა, არაინვაზიური, ხოლო კვლევა უსაფრთხო და უმტკივნეულოა. კვლევა ტარდება ოპტიკურ-კოჰერენტული ტომოგრაფ ცინუსის საშუალებით, რომელიც გვაძლევს გამოსაკვლევი ქსოვილის მაღალი ხარისხის სამგანზომილებიან გამოსახულებას.

***– რისთვის გამოიყენება ოპტიკურ-კოჰერენტული ტომოგრაფია?***

– ოპტიკურ-კოჰერენტული ტომოგრაფია გამოიყენება ისეთი დაავადებების დიაგნოსტირების, მონიტორინგისა და მკურნალობის ეფექტურობის შესაფასებლად, როგორებიცაა ბადურის დეგენერაციული დაავადებები, მათ შორის როგორც თანდაყოლილი, ასევე შეძენილი.

***– უფრო კონკრეტულად?***

– მაგალითად, როგორიც გახლავთ მაკულის ასაკობრივი დეგენერაცია, მაკულის ხვრელი, ასევე პროლიფერაციული დიაბეტური რეტინოპათიის, ბადურის ცენტრალური ვენის თრომბოზის, მაკულის ცისტოიდური შეშუპების, მხედველობის ნერვის დვრილის შეშუპების, ატროფიისა და მრავალი სხვა პათოლოგიის დროს.

***– ყველაზე მეტად რისთვის არის ეს მეთოდი საჭირო?***

– ეს მეთოდი გახლავთ შეუცვლელი გლაუკომის ადრეული დიაგნოსტიკისთვის.

# პრინც ჰარის ბურტყუნმა გერმანელი მოსწავლეები საგონებელში ჩააგდო

ათი ათასობით ადამიანმა მხარდაჭერა გამოხატა გერმანელი უფროსკლასელების მიმართ, რომლებიც მოითხოვენ, ინგლისური ენის გამოცდიდან ამოიღონ დავალება, რომლის შესასრულებლად აუცილებელია იმის გაგება, თუ რას ამბობს ბრიტანეთის პრინცი ჰარი.

გერმანიის ჩრდილოეთ რეინ-ვესტფალიის მიწის ერთ-ერთი სკოლის მოსწავლე დარიო შრამი მიიჩნევს, რომ საგამოცდო კითხვები მეტისმეტად რთული იყო. მან მოახერხა პეტიციაზე 43 ათასზე მეტი ხელმოწერა მოეგროვებინა, რომლითაც გამოცდის განმეორებით ჩატარებას მოითხოვს.

განსაკუთრებულ სირთულეს მოსწავლეებისთვის პრინც ჰარის გამოსვლის ვიდეოჩანაწერი წარმოადგენს. შრამი ამტკიცებს, რომ ბრიტანეთის დედოფლის შვილიშვილის გაუგებარი ბურტყუნი თითქმის ვერავინ გაარჩია. მასწავლებელთა ასოციაციის წარმომადგენელი ბრიგიტა ბალბახი მოსწავლის აზრს იზიარებს. მისი თქმით, პრინც ჰარის საუბრის გარჩევა თავად მასწავლებლებისთვისაც კი არ აღმოჩნდა ადვილი.



# ზღვის ლომმა გოგონას პირი კაბაში სტაცა და წყალში ჩაითრია



კანადის ქალაქ რიჩმონდში ზღვის ლომმა გოგონას პირი კაბაში სტაცა და წყალში ჩაითრია. ამ ინციდენტის ამსახველი ვიდეო ჩანაწერი იუთუბიზე გამოქვეყნდა და მან ორ დღეში 400 ათასზე მეტი ნახვა მოაგროვა.

როგორც ვიდეო რგოლის კომენტარში აღნიშნული, გოგონა ნათესავებმა და თვითმხილველებმა გადაარჩინეს. ინციდენტის შედეგად ბავშვი არ დაშავებულა.

ვიდეოს ავტორმა განაცხადა, რომ ის ზღვის ლომებს ამ ადგილას ხშირად ხედავს, მაგრამ ადრე მსგავსი რამ არასოდეს მომხდარა. მან ასევე აღნიშნა, რომ გოგონაზე თავდასხმამდე ცხოველს ნავმისადგომთან თავმოყრილი ხალხი საკვებს უყრიდა.

ბრიტანეთის კოლუმბიის უნივერსიტეტთან არსებული ზღვის ცხოველების კვლევის ცენტრის დირექტორის ენდრიუ ტრაიტსის თქმით, სავარაუდოდ, როდესაც გოგონა წყლისკენ ზურგით შებრუნდა და დაჯდა, ცხოველს თვალში მოხვდა კაბის ფრაგმენტი, რომელიც მან თავის საკვებად ჩათვალა და სწორედ ამიტომაც სტაცა პირი კაბას. მან ასევე იმედი გამოთქვა, რომ ამ ვიდეოს ნახვის შემდეგ ბევრი ადამიანი უარს იტყვის გარეული ცხოველებისთვის საკვების მიცემაზე.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გალიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას"); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**



# ფეხმძიმე ბიონსემ სურათები აფრიკულ სტილში გადაიღო

ამერიკელმა მომღერალმა ბიონსემ, რომელიც ტყუპებზეა ფეხმძიმედ, მონაწილეობა მიიღო გადაღებებში, რომლისთვისაც აფრიკულ სტილში გამოეწყო. მომღერალმა სურათები სოციალურ ქსელ ინსტაგრამში საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა.

კადრმა, რომელიც ვარსკვლავმა ინტერნეტში ატვირთა, მცირე დროში 2,8 მილიონზე მეტი მოწონება და 23 ათასი კომენტარი მიიღო. ასევე გადაღებაში მონაწილეობდა მისი მეუღლე, რეპერი ჯეი ზი.

შეგახსენებთ, რომ საკუთარი ფეხმძიმობის თაობაზე განცხადება ბიონსემ მიმდინარე წლის თებერვალში გააკეთა. ის და ჯეი ზი 2008 წლის აპრილში ნიუ-იორკში დაქორწინდნენ. 2012 წლის 8 იანვარს მათ შეეძინათ გოგონა, რომელსაც აივი ბლიუ კარტერი დაარქვეს.

## ასტროპროგნოზი
### 24 მაისისათვის



**ვერძი** – ნუ იქნებით აგრესიული. ეს თვისება კოლეგებთან და ახლობლებთან ურთიერთობას გაგიფუჭებთ. ამას შესაძლოა ფინანსური დანაკარგებიც მოჰყვეს. **კურო** – ძალზე ფრთხილად იყავით ფინანსური ოპერაციებისას. ერიდეთ კონფლიქტურ სიტუაციებს. **ტყუპები** – დღეს ნუ იაქტიურებთ. მშვიდად და თავმდაბლად იმუშავეთ. ზედმეტი მზრუნველობა ახლობლებისადმი საჭირო არ არის. **კირჩხიბი** – ძალზე იღბლიანი დღეა, განსაკუთრებით – საჯარო მოხელეთათვის. ექსპერიმენტებისგან თავი შეიკავეთ. **ლომი** – ნუ აჩქარდებით. პროფესიონალურ სფეროსა და პირად ცხოვრებაში შეცდომის დაშვების უფლება არ გაქვთ. ზედმეტი მიმნდობლობა ფინანსურად დაგაზარალებთ. **ქალწული** – თქვენი ავტორიტეტის შებღალვის უფლება არავის მისცეთ. ჯანმრთელობას მეტი ყურადღება მიაქციეთ. **სასწორი** – ხელშეკრულებების გასაფორმებლად, მივლინებებისათვის შესაფერისი პერიოდია. სასიცოცხლო პოტენციალი იზრდება. **ღრიანკალი** – ნუ გარისკავთ. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. ერიდეთ ქალაქგარეთ გასვლას. **მშვილდოსანი** – სასიცოცხლო პოტენციალი იზრდება. ეს დღე თქვენი შემოქმედებითი აღმავლობის დასაწყისია. სისუსტეს ნუ გამოიჩენთ. **თხის რქა** – ახალ საქმეს ნუ დაიწყებთ. ნებისმიერი ინიციატივა წარუმატებელი იქნება. **მერწყული** – წადით მივლინებაში, სამოგზაუროდ, დაისვენეთ და გაერთეთ ბუნების წიაღში. **თევზები** – ძალზე კეთილისმყოფელი დღეა. გიუმჯობესდებათ მატერიალური მდგომარეობა. პროფესიონალური და პირადი საკითხების გადასაწყვეტად მშვენიერი პერიოდია.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ბ

**შვეულად**: 1. სახელმწიფო აფრიკაში; 2. ოპტიკური მოვლენა ატმოსფეროში; 3. ინდივიდუალური კომპიუტერი; 4. მარტის თვის ქართული სახელწოდება; 5. კურორტ ახალი ათონის ძველი სახელწოდება; 7. პატარა, აივნიანი ხის სახლი ინდოეთში; 11. მხატვრული ლიტერატურის ერთ-ერთი ჟანრი; 12. მარწყვის ერთ-ერთი ჯიში; 13. სითბოს რაოდენობის საზომი ერთეული; 14. რამდენიმე ელექტროსადგური ერთ მდინარეზე; 15. ლუდის მწარმოებელი ირლანდიური ფირმა; 17. ძლიერი სულიერი მღელვარების, განცდის გამოვლენა; 19. მარიონეტული თოჯინების სამართავი მოწყობილობა.

**თარაზულად**: 5. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ერთ-ერთი ოფიციალური სამუშაო ენა; 6. სამართლის რომელიმე დარგის კანონთა კრებული; 8. ფულის ერთეული იაპონიაში; 9. უკრაინული ხალხური სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 10. ტექსტიდან უცვლელად, სიტყვასიტყვით მოყვანილი ფრაზა; 11. ფრანგული ავტომობილი; 13. ოფიციალური ცნობა საერთაშორისო მოლაპარაკების მიმდინარეობისა და შედეგების შესახებ; 14. ცურვის ერთ-ერთი სტილი; 16. ცნობილი ესპანელი არქიტექტორი; 18. სახელდახელოდ შესრულებული ნახატი ან ნახაზი; 20. მდინარე დასავლეთ დვინის სახელწოდება ლატვიაში; 21. თეთრი ფერის ძველი ქართული სახელწოდება.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. მაგო; 2. სელბი; 3. ოტავა; 4. ბორტი; 5. ტოლედო; 6. კარამელი; 8. ილუმინაცია; 10. სარწყუნისი; 11. მინიატურა; 14. კოვბოი; 15. უოლესი; 16. დვირი.

**თარაზულად:** 1. მარსელი; 4. ბოტანიკა; 7. გრილი; 9. ქაოსი; 12. ბოჟოლე; 13. ლუვრი; 14. კათეტი; 17. ფაუსტი; 18. ღვინობისთვე; 19. ბაგრატი; 20. ლიკუდი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ხვიჩია; 2. პლომბი; 3. ოჩოკოჩი; 4. დიორამა; 5. კაროჟნა; 7. ციკლონი; 11. ტაქსა; 12. მიქსტი; 13. დასლერი; 14. პარკუჭი; 15. ჰამერი; 17. ნაზუქი; 19. რაჭა.

**თარაზულად:** 5. კრაველი; 6. ყანჩელი; 8. ბეკი; 9. ტოლჩა; 10. ჟირაფი; 11. ტიკი; 13. დინამიტი; 14. პაქტი; 16. ანისი; 18. ჰალვა; 20. ჭანჭური; 21. რეაქცია.

# ნინო შუბლაძე ტელევიზიას უბრუნდება



ჟურნალისტი ნინო შუბლაძე ხანმოკლე პაუზის შემდეგ ისევ ტელევიზიას უბრუნდება.

ინფორმაცია ამის შესახებ ჟურნალისტმა სოციალურ ქსელში თავად გაავრცელა:

– 3-წლიანი პაუზის შემდეგ დადგა დრო, დავუბრუნდე ჩემს პროფესიას და ტელევიზიას. მალე შევუერთდები ტვევე პირველის არაჩვეულებრივ გუნდს და ჩემს კოლეგებს, რომლებთან ერთადაც მჯერა, კიდევ ბევრ წარმატებას მივაღწევთ! დიდი მადლობა ჩემს გუნდს ჯანდაცვაში და ჩემს უშუალო ხელმძღვანელს, მინისტრ დავით სერგეენკოს. წარმატებები მას! ვუსურვებ ამ უწყებას ძალიან იშვიათად დაემსახურებინოს ჟურნალისტების კრიტიკა! ჩემთვის კი, ნამდვილად საინტერესო გამოცდილება იყო ეს 2 წელი და ახლა დროა დავუბრუნდე „დიდ ავიაციას“. მადლობა, თქვენ ყველას, ჩემო მეგობრებო, გულშემატკივრობისთვის!

# აბრეშუმის მუზეუმი 130 წლისაა



აბრეშუმის სახელმწიფო მუზეუმი 130 წლისაა. ამ საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, მუზეუმში სპეციალური საერთაშორისო კონფერენცია გაიმართა სახელწოდებით „ტრადიცია და ინოვაცია“.

მუზეუმის დირექტორმა ნინო კუპრავამ აბრეშუმის მუზეუმის 130-წლიანი ისტორიის ყველაზე მნიშვნელოვან ეტაპებზე ისაუბრა. სპეციალურ სტუმართა შორის იყვნენ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს პოპულარიზაციის, რეგიონალური პროგრამებისა და პროექტების მართვის დეპარტამენტის დირექტორი ანა რიაბოშენკო და ევროპის ტექსტილის ქსელის დამაარსებელი ბეატრის სტერკი.

საერთაშორისო კონფერენცია ორ დღეს გაგრძელდა. მის მიზანს წარმოადგენდა, დამსწრე საზოგადოებას თვალი გადაევლო აბრეშუმის მუზეუმის ისტორიისთვის, იმ ეპოქისთვის, როდესაც იგი დაარსდა და შემდეგ უკვე წარსულის გააზრებით ესაუბრა თანამედროვეობაზე.

ქართველ მეცნიერებთან ერთად, კონფერენციაში უცხოელი არტისტები და სხვა საპატიო სტუმრებიც მონაწილეობდნენ.

# „იქს ფაქტორის“ ჟიურიმ საუკეთესოები დაასახელა



მუსიკალური შოუ „იქს ფაქტორი“ გადამწყვეტ ეტაპზე გადავიდა. მომავალ ორშაბათს პირდაპირი ეთერი დაიწყება და ოთხივე მენტორის გიორგი გაბუნიას, სოფო ნიჟარაძის, ლელა წურწუმიას და ანრი ჯოხაძის საუკეთესო კონკურსანტები გამარჯვებისთვის რეალურ ბრძოლას დაიწყებენ.

„იქს ფაქტორში“ 2 სკამის ტური ჩატარდა, სადაც მენტორებმა ათეულიდან შერჩეული 4 კონკურსანტიდან, შოუს მიღმა კიდევ 2 კონკურსანტი დატოვეს. ეს ტური განსაკუთრებით მძიმე აღმოჩნდა ჟიურის ყველა წევრისთვის, რადგან მათ საუკეთესოებიდან საუკეთესოებთან დამშვიდობება მოუწიათ.

ბევრი ფიქრის და კამათის შემდეგ ჟიურის წევრთა საუკეთესო ორეულები შეირჩა. სოფო ნიჟარაძე გამარჯვებისთვის ბიჭების კატეგორიით იბრძოლებს. მისი რჩეულები არიან მერაბ ამზოევი და სანდრო კურცხალაძე, სტეფანე მღებრიშვილი ჯგუფების კატეგორიით მოგებას „მიქსტურასთან“ და ოთო ღურწკაიასა და „ბლუზ ფაქტორთან“ ერთად შეეცდება, გიორგი გაბუნია ბავშვების კატეგორიაში თამარ ედილაშვილით და გრიგოლ ყიფშიძით აპირებს გამარჯვებას, ლელა წურწუმიას კი გოგონების კატეგორიაში მაგდა ვასაძესა და სოფო საჟინიანის გამარჯვების იმედი აქვს.

განსაკუთრებული ვნებათაღელვა მაყურებელში შოუდან ქეთი ბერიძის გაშვებამ გამოიწვია. გოგონების კატეგორიის საუკეთესო ოთხეულში მოხვედრილი ქეთი, მენტორმა ლელა წურწუმიამ შოუდან გაუშვა.

# პრესისთვის ცნობილი გახდა, თუ სად გაატარებს თაფლობის თვეს კეიტ მიდლტონის და

ერთ-ერთმა ბრიტანულმა გამოცემამ გამოაქვეყნა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ სად გაატარებენ თაფლობის თვეს კემბრიჯის ჰერცოგინიას კეიტის და პიპა მიდლტონი და მისი მეუღლე ჯეიმს მეთიუსი.



გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, თავდაპირველად ახლად დაქორწინებულები ფრანგული პოლინეზიის კუნძულ ტეტიაროზე გაემგზავრებიან, სადაც ერთი კვირით ელიტურ 24-საათიანი სერვისით ცნობილ ვილაში დაბინავდებიან.

ისინი ასევე ჩრდილოეთ შოტლანდიის მთიანეთშიც აპირებენ დასვენებას. წყვილს იმედი აქვს, რომ თაფლობის თვეს ჩოგბურთში საფრანგეთის ღია პირველობაზე დასწრებით დაასრულებენ.

# მაიკო კაჭკაჭიშვილს ბინა აჩუქეს




არაერთი ცნობილი ჰიტის ავტორს მაიკო კაჭკაჭიშვილს ბინა აჩუქეს. სამოთახიანი ბინა რემონტით მას ერთ-ერთმა სამშენებლო კომპანიამ გადასცა.

მაიკო კაჭკაჭიშვილმა კლუბ „ოტიუმში“ საავტორო საღამო მოაწყო, სადაც ქართული ესტრადის ცნობილმა მომღერლებმა იმღერეს. ნოდიკო ტატიშვილმა, რატი დურგლიშვილმა, ვერიკო ტურაშვილმა, ქრისტინე მარტიაშვილმა, ლელა წურწუმიამ, კახა კუხიანიძემ, ანრი ჯოხაძემ, მარიკა თხელიძემ, აჩიკო მეფარიძემ, სალომე ბაკურაძემ, ნინო ჩხეიძემ, ნინი ბადურაშვილმა, დათუნა მგელაძემ მაიკოს სიმღერები შეასრულეს.

კონცერტის მსვლელობისას კომპოზიტორი საღამოს წამყვანმა მსახიობმა გიორგი გასვიანმა სცენაზე მიიწვია და მას სიურპრიზის შესახებ აცნობა.

– შოკი მაქვს! – განაცხადა მაიკო კაჭკაჭიშვილმა, რომელმაც ცხოვრებაში პირველად მიიღო საჩუქარი, რადგან, მისი თქმით, არასდროს არაფერი მოუგია და არასდროს ასეთი ძვირფასი საჩუქარი არ მიუღია.

კლუბში შეკრებილმა მსმენელმა და მომღერლებმა მაიკო კაჭკაჭიშვილს ეს საჩუქარი ხანგრძლივი ოვაციებით და ტაშით მიულოცეს.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# ავსტრალიაში როდეოს დროს ხარმა კოვბოის დააბიჯა



ავსტრალიის კვისლენდის შტატის ქალაქ როკჰემპტონში გამართული როდეოს დროს მხედარი ხარიდან ჩამოვარდა და მძიმე ტრავმა მიიღო. ამ ინფორმაციას ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

ტურნირის დროს ავსტრალიელმა მხედარმა როენ მარკჰემმა ცხოველის ზურგზე თავის შემაგრება ვერ მოახერხა, გადმოვარდა და მიწაზე დაენარცხა, რის შემდეგაც ხარმა მას მუცელში უკანა კიდურების ჩლიქები ჩასცხო.

მამაკაცი ფეხზე წამოდგა, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და ისევ დაეცა. მარკჰემი საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც გაირკვა, რომ დარტყმის შედეგად მას ღვიძლი გაუსკდა და კუჭქვეშა ჯირკვალიც დაუზიანდა. ამჟამად ავსტრალიელის მდგომარეობა სტაბილურია.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# ლეონარდო დი კაპრიო და უმა თურმანი ნაომი კემპბელის შოუს დაესწრნენ



სუპერმოდელმა ნაომი კემპბელმა საქველმოქმედო შოუ გამართა, რომლის სტუმრები იყვნენ მსახიობები ლეონარდო დი კაპრიო და უმა თურმანი, დიზაინერი დონატელა ვერსაჩე და სხვა ცნობილი პირები. აღნიშნული ღონისძიება საფრანგეთის ქალა კანში კერძო აეროპორტის ანგარის ტერიტორიაზე გაიმართა.

ჩვენების სანახავად ასევე მისულები იყვნენ იორდანიის დედოფალი რანია ალ-აბდულა, იორკის ჰერცოგინია სარა ფერგიუსონი, ბრიტანეთის პრინცესა ბეატრისი.

პოდიუმის თავზე შვეულმფრენები და თვითმფრინავები დაფრინავდნენ. შოუ მოდელმა ნატალია ვოდიანოვამ გახსნა, მის შემდეგ გამოვიდნენ კეიტ მოსი, ჰაიდი კლუმი, ბელა ჰადიდი, კენდალ ჯენერი, ჯორდან დანი, ნატაშა პოლი. ისინი წარმოადგენდნენ წამყვანი დიზაინერების მიერ შექმნილ ჩასაცმელებს.

დამსწრეთა აღფრთოვანება გამოიწვია მსახიობ ანტონიო ბანდერასის გამოჩენამ. ასევე პოდიუმზე თავად კემპბელიც გამოვიდა.

ჩვენების შემდეგ გაიმართა გალა-სადილი და აუქციონი. მიღებული თანხა გადაეცემათ ბავშვებს, რომლებიც ლტოლვილების კრიზისის, საომარი მოქმედებების და ბუნებრივი კატასტროფების შედეგად დაზარალდნენ.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# სამგლოვიარო განცხადებები

შვილები კახაბერ, არტემ (ბაჩა) აშორტია და სვეტლანა, ძმები გივი, გურამ დადუანები, რძლები ინდირა, ნინო, ზაირა, ლენა, შვილიშვილები ზაურ, მამუკა, კახაბერ, თამარ აშორტიები, ახლო ნათესავები ოჯახებით იუწყებიან

**თამარ დადუანი-აშორტიას**

გარდაცვალებას.

გამოსვენება: ხუთშაბათს, 25 მაისს, 14 საათზე, აეროპორტის დასახლების წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიიდან.

ლივტერ (აპალონ), რამინ, თინა ჯღარკავები, ბონდო გერგედავა, სოსო ჭოლარია, ინვერ კილანავა ღრმა მწუხარებით იუწყებიან ბიძის

**კარლო ჭოლარიას**

გარდაცვალებას.

დაკრძალვა: ხუთშაბათს, 25 მაისს, ქ. გალში.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# პროგრამა

**ოთხშაბათი
24 მაისი**

**07.00** დოკ/ფ "ენტონი ბურდეინი" წინასწარი შეკვეთის გარეშე" **08.00** "ჯიმი ნიუტრონი-გენიოსი ბიჭუნა" **09.00** "მოამბე დილას" **10.00** "პირადი ექიმი" **11.00, 19.00** ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" **12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **12.30** "ტელემანი" **12.45** "კაცების დრო" **13.50** "ფერმა" **14.20** "სიტყვების თამაში" **15.00, 03.10** "C სტუდია" **16.15** "ეკონომეტრი" **16.30** "ჰოპლა ჩვენ ვცოცხლობთ" **17.00** "რეალური სივრცე" **18.30** "ხანმოკლე XX საუკუნე" **20.40** "სპორტის დაფა" **21.00** ტ/სერ. "**ველვეტი**" **22.00** "მთავარი" - თამარ ჩიქოვანთან ერთად **23.00** მხ/ფ "**მკურნალი ადამსი**" **01.00** მხ/ფ "**წყლის სამყარო**" (კ.კოსტნერი)

**08.00** დოკ/ფ "კიდევ სცადე" **09.00** დოკ/ფ "ეფლი" **10.00** "გეოფაქტორი" **10.20** დოკ/ფ "მესამე ხანა" **11.10** დოკ/ფ "მსოფლიო ქალაქები" - "კოპენჰაგენი" **12.00, 22.00** ტ/სერ. "**კედრის ყურე**" **13.00** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **14.00** დოკ/ფ "ინკების მარილი" **15.00, 18.00, 20.40** "ბრიფინგის დრო" **17.00** დოკ/ფ "ზეთი სიამაყე" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" **21.00** "არგუმენტების დრო" **23.00** "მოამბე" (3 ენაზე) **00.00** "ნამდვილი დრო" **00.30** ტ/სერ. "**კატერინა და მისი ქალიშვილები**"

**05.50, 14.40** სერ. "**ელიფი**" **07.30** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.10** ქრონიკა **08.20, 09.20** იმედის დილა (გაგრძელება) **10.05** სერ. "**პატარძალი**" **11.20** სერ. "**ფიცი**" **12.30** იმედის დღე **17.35** სერ. "**სტამბოლის ორი სახე**" **18.45, 19.03** სერ. "**მოპარული ცხოვრება** **20.55** სერ. "**ნამსხვრევები**" **22.00** ეკა ხოფერიას თოქ შოუ **23.30** შინაურები **00.30** მხ/ფ "**ობობას ნიღაბი**" **02.25** მხ/ფ "**ორმაგი გათვლა**" **04.00** მხ/ფ "**საქმე 39**"

**06.00** სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" **06.45** სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**მფარველი ანგელოზი**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**ყველაზე ლამაზი**" **15.30** სერ. "**ინდური საგა**" **16.55** სერ. "**დაკარგული წლები**" **18.30** სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" **19.57** სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **22.00** ნანუკას შოუ **23.30** გააცინე და მოიგე

**08.00** ან/სერ. ავატარი **09.00, 13.00** სერ. "**შავი კოდი**" **11.00, 17.00** სერ. "**კრიმინალური აზროვნება**" **15.00** სერ. "**ანტიმაფია**" **19.00** სერ. "**გაბოროტებული**" **21.00** სერ. "**ანგარიშსწორება**" **22.30** მხ/ფ "**სულელების ოქრო**" **00.35** მხ/ფ "**თქვენთვის წერილია**" **02.25** მხ/ფ "**ექვსი დღე, შვიდი ღამე**"

**06.15** დროის ჩანაწერები **07.00** მართლმადიდებლური კატეხიზმო **07.30** ჩვენი ფონდი **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10** "ქრონიკები დიდი მამულიშვილის ცხოვრებიდან" VI ნაწ. **10.30** დ/ფ "ველური ბუნება"-გაზელები **11.00** მიწათმოქმედი "მარხვა და შაქარი" **11.30** მგზავრები წუთისოფლისა **12.10** ღია აუდიტორია **13.00** ერთიანი მშვიდობიანი კავკასია **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** ბავშვები მუზეუმში **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.10** ქართული ანიმაციური ფილმი **15.30** დ/ფ "ბარტ ვულფი"-იამაიკა **16.00** კონცერტი-"ალექსანდრე (სანდრო) თიგიშვილი" **17.20** "ერთსულოვანი ოჯახი" ბურჯალიანები **17.40** ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები **18.10** "განთიადის" სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.10** სიახლენი **19.20** მხ/ფ "**ლუარსაბ თათქარიძე**" **20.40** ძილი ნებისა "ჩიპი და დეილი" **20.55** შვიდგზის ლოცვა **21.00** პატრიარქის ქადაგება **21.20** ჩვენი ამბავი "დაკარგული ტახტის მემკვიდრე-ალ. ორბელიანი" **21.35** ეპოქის სახელები **22.25** ქართული ალბომი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.35** ღვთის სახლი "ოთხთა და ოშკი" **00.25** საუფლონი ამაღლება-"ამაღლდა ღმერთი ღაღადებითა" **01.00** საუკუნის პორტრეტები "ეროსი მანჯგალაძე" **01.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

მაესტრო **7.00** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "კბილის ფერიები" **8.15** დოკ/ფ "კაცი,ქალი,ბუნება" **9.00** სერ. "**ორი გული**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 2.30** სერ. "**სიყვარულის იმპერია**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **15.30, 18.50, 20.55** სერ. "**მარისა**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **23.00** სერ. "**ესკობარი**" **0.00** "კონტაქტი" **0.30** სერ. "**პაემანი**" **2.00** "კონტაქტი"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


24 მაისისთვის

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 2.4217

ევრო — 2.7084

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.1446

100 რუსული რუბლი — 4.2722

**ამინდის პროგნოზი 24 მაისისთვის**





**18 მაისიდან**

თეოდორ დრაიზერი

**ამერიკული ტრაგედია**

I ნაწილი




**ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი**




**25 მაისიდან**

თეოდორ დრაიზერი

**ამერიკული ტრაგედია**

II ნაწილი

**ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი**




## იუმორი

შვილი მამას ეკითხება:

– მამა, რა განსხვავებაა ფერიასა და ურჩხულს შორის?

– ერთად ცხოვრების ერთი წელი.

●●●

ქუჩაში მიმავალ მამაკაცს, რომელსაც ხელში გომბეშო უჭირავს, პოლიციელი აჩერებს და ეკითხება:

– ქუჩაში გომბეშოთი რატომ დადიხართ?

ამ დროს პოლიციელს თავად გომბეშო ეუბნება ადამიანის ხმით:

– ბატონო პოლიციელო! მიშველეთ! თუ შეიძლება დაუკავშირდით ცხოველთა დაცვის საზოგადოებას, თორემ შემაწუხა თავისი გაუთავებელი კოცნით!

●●●

კაცმა გადაწყვიტა, რომ მოხუცებული მამა ოჯახში ზედმეტი ტვირთი იყო და ის მოხუცებულთა სახლში ჩააბარა. უკან დაბრუნებულს შვილი ეკითხება:

– იმ სახლის მისამართი ჩაიწერე, სადაც ბაბუა მიიყვანე?

– გინდა, რომ მოინახულო?

– არა, მინდა ვიცოდე, სად უნდა მიგიყვანო, როდესაც შენც დაბერდები...

●●●

ფეხბურთის კომენტატორია ადამიანი, რომელიც პროფესიონალურად გიშლის ხელს ფეხბურთის ყურებაში.

●●●

ცოლი ქმარს ეუბნება:

– ხვალ დედაჩემი ჩამოდის!

ქმარი ხმას არ იღებს.

– მცირე ხნით, სულ რაღაც ორი კვირით!

ისევ დუმილი პასუხად.

– გაიგე, რაც გითხარი?!

ქმარი პასუხს არ სცემს.

– ჰოდა, ძალიან კარგი, რომ არ გაბრაზდი!

პასუხად ქმარმა მძიმედ ამოიხვნეშა.

– და ნუ მიყვირიხარ!

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– აი, შენ უკვე 10 წელია დაოჯახებული ხარ და მეუღლისთვის ერთხელაც არ გიღალატია! რატომ?

– ორი მიზეზია...

– სიყვარული და ერთგულება?

– არა, სიზარმაცე და პორნო საიტები!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.



**23 მაისიდან**




ლაშა იმედაშვილი

ქართული დეტექტივი ტომი 13

**სამი მკვლელობა ძველ თბილისში**

**პატრიარქის ზაფხული**

**ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი**


## ნიკოლოზ ბასილაშვილმა ანდრეა სეპი დაამარცხა



ნიკოლოზ ბასილაშვილმა ლიონში მიმდინარე ტურნირში უკვე მეორე შეხვედრა მოიგო და მეოთხედფინალში გავიდა.

პირველ წრეში ბასილაშვილმა ჩორიჩი დაამარცხა, შემდეგ კი ქართველი ჩოგბურთელის მსხვერპლი გამოცდილი იტალიელი ანდრეა სეპი აღმოჩნდა.

სეპის დამარცხება ნიკამ ორ სეტში მოახერხა ანგარიშით 6:4, 6:4. ამრიგად, ბასილაშვილი უკვე მეოთხედფინალშია და მან 45 სარეიტინგო ქულა მოიპოვა, რაც უდავოდ დაეხმარება მას რეიტინგში წინ წაწევაში.

კვირას როლან გაროსი იწყება და ნიკასთვის აუცილებელია ამ ტურნირისთვის კარგად მომზადება. ჯერჯერობით ეს გამოსდის.

ბასილაშვილი რეიტინგში 70-ე ადგილს იკავებს.

## სელინ დიონს ბილბორდის პრემიის ცერემონიაზე 3 მილიონის სამკაული ეკეთა



მომღერალ სელინ დიონს ბილბორდის პრემიის გადაცემის ცერემონიაზე 3 მილიონი დოლარის ღირებულების სამკაულები ეკეთა.

ღონისძიება ლას-ვეგასში გაიმართა. დიონმა შეასრულა ჰიტი My Heart Will Go On, რომელიც ფილმ „ტიტანიკის" 20 წლისთავს მიუძღვნა.

გავრცელებული ინფორმაციით, სამკაულების ფასი, რომელიც მომღერალსა და მსახიობს ეკეთა, 3 მილიონ დოლარად იყო შეფასებული.

მას მედიის ინტერესი ასევე გამოიწვია დიონის კაბამაც. თეთრ კაბას ღრმა დეკოლტე ჰქონდა, ხოლო მისი სახელოები ფრთების სიმბოლოს წარმოადგენდნენ.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ბარსელონა ჟერარ დელოფეუს ზაფხულში დაიბრუნებს



ბარსელონა ამ ზაფხულს ჟერარ დელოფეუს დაიბრუნებს. ამის შესახებ ინფორმაცია ესპანურ პრესაში ვრცელდება.

დელოფეუ ამჟამად იტალიური მილანის ღირსებას იცავს, მაგრამ, კონტრაქტის მიხედვით, ბარსელონას მისი გამოსყიდვის უფლება აქვს და 12 მილიონი ევროს სანაცვლოდ დელოფეუ თავის მშობლიურ ქალაქში დაბრუნდება.

დელოფეუ ბარსელონის აღზრდილია და რამდენიმე წლის წინ ამომავალ ვარსკვლავად ითვლებოდა, თუმცა ჯერჯერობით მასზე გაცემული ავანსები ბოლომდე ვერ გაამართლა. როგორც ჩანს, ბარსელონაში გადაწყვიტეს, რომ დელოფეუსთვის მეორე შანსი მიეცათ და ვნახოთ, როგორ გამოიყენებს მას ახალგაზრდა ფეხბურთელი.

## გვარდიოლას ცოლ-შვილი არიანა გრანდეს კონცერტზე იმყოფებოდა

მანჩესტერში მომხდარ ტერაქტზე მთელი მსოფლიო საუბრობს და ბევრი საინტერესო დეტალი გახდა ცნობილი. როგორც აღმოჩნდა, არიანა გრანდეს კონცერტს მანჩესტერ სიტის მწვრთნელ ხოსეპ გვარდიოლას ცოლი და ორი შვილი ესწრებოდნენ.

საბედნიეროდ, ისინი არ დაშავებულან, თუმცა მომხდარის გამო გვარდიოლამ საუდის არაბეთში ვიზიტი გადადო და თავის ოჯახთან ერთად მანჩესტერში დარჩა.

გვარდიოლამ ტვიტერის საშუალებით ყველა დაღუპულის ოჯახს მიუსამძიმრა და ამ რთულ პერიოდში გამძლეობა უსურვა.

იგივე გააკეთა მანჩესტერ სიტის ბელგიელმა მცველმა ვინსან კომპანიმ.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**




## კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. მუსიკალური ნაწარმოების ბოლო, დასკვნითი ნაწილი; 2. გულის დაავადებით გამოწვეული სულის ხუთვა; 3. ძვირფასმერქნიანი ტროპიკული ხე, რომლის თესლისგან იღებენ მაღალხარისხოვან ზეთს, ამზადებენ ხის წებოს; 4. პოპულარული ბრიტანული იუმორისტული ჟურნალი; 5. ხელოვნურად გაშენებული ტყის მასივი; 6. ეგეოსის ზღვისპირა ნავსადგური საბერძნეთში; 8. გერმანიის იმპერიის ტახტის მემკვიდრის ტიტული; 10. მეტისმეტად ხალისიანი, სიცოცხლით სავსე ადამიანი; 11. მიწაში ბინადარი დიდი შხამიანი ობობა; 14. კანის ანთებითი დაავადება; 15. სამონასტრო კომპლექსი ახმეტის რაიონში; 16. ბაღჩეული ხილი.

**თარაზულად**: 1. იტალიის ფეხბურთელთა გუნდი; 4. ჩინეთში გამოყვანილი პატარა დეკორატიული ჯიშის ძაღლი; 7. თოფის წამალი; 9. მაჯისცემა; 12. დაავადების გამომწვევი მიკრობი; 13. გურულების მოკლე ჩოხა; 14. მოსანათლი ჭურჭელი ეკლესიაში; 17. რკინიგზის ლიანდაგის სიგრძის საზომი ერთეული; 18. მაჯისცემის გრაფიკული ჩანაწერი; 19. შენობის ინტერიერის მხატვრული კონსტრუირება; 20. უბანი თბილისში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

